



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა
ფაკულტეტი საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო
უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა

ვახტანგ სახოკია

„ნატოს ღია კარის პოლიტიკა, როგორც ქვეყნების

დემოკრატიზაციის მნიშვნელოვანი ფაქტორი“

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ლევან ნიკოლეიშვილი

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორანტი, ასისტენტი

თბილისი -2019

ანოტაცია

ნატო-ჩრდილო ატლანტიკური ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რათა მომხდარიყო გარე საფრთხის შეკავება.

ნატოს გაფართოებას რამოდენიმე სპეციფიკური და მნიშვნელოვანი მიზეზი გააჩნია. ერთ-ერთი მიზეზთგანი მდგომარეობს შემდეგში: სტაბილურობისა და მშვიდობის დამყარება და მისი შენარჩუნება ევროპაში. სახელმწიფოების გაერთანება ერთ სივრცეში და დემოკრატიის გატარება.

შემდეგ მიზეზს წარმოადგენს საბჭოთა კავშირისგან მოსალოდნელი რეალური ექსპანსიის განხორციელება და ამისგან თავის ასარიდებლად ნატო იწყებს გაფართოებებს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ნატომ კვლავ განაგრძო გაფართოება, იმ მიზნით, რომ თავიდან აერიდებინა მოსალოდნელი საფრთხეები რასაც რუსეთი ქმნიდა. ვინაიდან და რადგანაც რუსეთი წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის სამართლმემკვიდრეს ამიტომ დიდი შანსი იყო იმისა, რომ რუსეთს კვლავ გაეგრძელებინა ქვეყნების ექსპანსია.

დღევნადელი მონაცემებით ნატოში გაწევრიანებული არის 29 სახელმწიფო, ამით ნატო არ აპირებს გაჩერებას და კვლავ გეგმას გააგრძელოს გაფართოება უფრო მეტი სახელმწიფო მოიზიდოს და მიუახლოვდეს რუსეთის ტერიტორიას. ნატოს სამომავლო გეგმებში ზუსტად რუსეთის მეზობელი სახელმწიფოები მოიაზრება ესენია: უკრაინა და საქართველო. ასევე ნატოს სამომავლო გეგმებში შედის ჩრდილოეთ მაკედონია, ბოსნია და ჰერცეგოვინა.

მცდელობების მიუხედავად რუსეთი წინააღმდეგობას უწევს ამ გაფართოებას და ცდილობს შეაჩეროს ეს პროცესები. ამიტომ ჯერ კიდევ გაურკვეველია როგორც უკრაინის ასევე საქართველოს ბედი ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით.

Annotation

Student: Vakhtang Sakhokia

Thread Title: NATO Open Door policy, As an important factor in the democratization of countries.

The NATO – north Treaty Atlantic organization, established after the WORLD WAR II to prevent from external threats.

NATO expansion has some specific and important reasons. one of the reasons in the following: to establish and sustain stability and peace in Europe, to unite European countries in one area and establish democracy.

The next reasons is the expansion expected from the Soviet Union and NATO has begun to extend its monthly expansion. after the collapse Soviet Union NATO continued to expand in order to avoid possible threats that Russia created. Since Russia was a successor of the Soviet Union, it was a great chance to continue Russia's continued expansion.

Today NATO has 29 member states and the alliance is not going to stop. NATO continues to increase its expansion and to get closer to the Russian territory. NATO'S future plans are precisely for Russia's neighboring states: Ukraine and Georgia. NATO'S future plans include Bosnia and Herzegovina. Despite the attempts Russia contradicts this expansion and attempts to stop the processes. the fate of Georgia and Ukraine's integration into NATO is still unclear.

სარჩევი

| | |
|--|----|
| შესავალი..... | 5 |
| თავი 1 ნატოს გეოსტრატეგიული ამოცანები ცივი ომის პერიოდში..... | 9 |
| 1.1 ნატოს ჩამოყალიბების პოლიტიკური საფუძვლები..... | 9 |
| 1.2 ნატოს გაფართოების პირობები ცივი ომის პერიოდში..... | 15 |
| 1.3 ნატო ღია კარის პოლიტიკის გაფართოება და წინაღობა ცივი ომის პერიოდში..... | 20 |
| თავი 2.ნატოს გაფართოების პოლიტიკა ცივი ომის შემდგომ და არსებული საფრთხეები..... | 29 |
| 2.1 ნატოს ტრანსფორმაცია ცივი ომის დასრულების შემდგომ..... | 29 |
| 2.2 ნატოს გაფართოების თეორია და რუსეთის ფაქტორი..... | 41 |
| 2.3 ნატოს-საქართველოს ურთიერთობები და არსებული გამოწვევები..... | 48 |
| 2.4 ნატოს გაფართოების პროცესის პერსპექტივები..... | 61 |
| დასკვნა:..... | 65 |
| გამოყენებული ლიტერატურა:..... | 70 |

შესავალი

ნატოს ღია კარის პოლიტიკა ეს არის მნიშვნელოვანი ფაქტორი გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ ასპექტებში. დასავლეთსა და რუსეთს შორის არის კონფროტაციის მაღალი დონე, რომელიც იწვევს საერთაშორისო ასპარესზე ინტერესთა კონფლიქტების გაღრმავებას.

თემის აქტუალობა: თემაში განხილულია ნატოს ღია კარის პოლიტიკის პოლიტიკური ასპექტები, რომელიც დიდი გავლენის მატარებელია როგორც რეგიონალურ ასევე საერთაშორისო ასპარესზე.

საკვლევი კითხვები:

- 1) რამ განაპირობა ნატოს ღია კარის პოლიტიკა
- 2) რა როლს ასრულებს ნატო დემოკრატიზაციის პროცესში
- 3) როგორ განსაზღვრავს ნატო ქვეყნების დემოკრატიზაციას
- 4) რა წინააღმდეგობას აწყდება ქვეყნები ნატოში გაწევრიანებას

ჰიპოტეზა: ნატოს გაფართოება დაიწყო ბიპოლარულ სამყაროში, რომელშიც მიმდინარეობა გამაღებელი ბრძოლა დაპირისპირებულ ბანაკებს შორის. ნატოში გაწევრიანება საფრთხეს წარმოადგენს როგორც ალიანსისთვის ასევე იმ სახელმწიფოებისთვის, რომლის პოლიტიკაც იკვეთება რუსეთთან. საქართველო უამრავ გამოწვევას და საფრთხეს აწყდება ნატოში გაწევრიანების გზაზე, რომელიც რუსეთის ფედერაციისგან მომდინარეობს.

თემის მიზნები:

- ისტორიული ასპექტების წარმოჩენა ნატოს ღია კარის პოლიტიკაში
- წარმოაჩინოს ის მიზეზები თუ რატო სურთ სახელმწიფოებს ნატოში გაწევრიანება

- წარმოაჩინოს ის ფაქტორი თუ რა გავლენას ახდენს ნატოს ღია კარის პოლიტიკა მულტიპოლარულ სამყაროზე

თემის ამოცანები:

- იმ ხელის შემშლელი ფაქტორების დადგენა, რომელიც ხელს უშლის საქართველოს იყოს ალიანსის სრულყოფილი წევრი
- ინტერესთა კონფლიქტის ძირითადი მახასიათებლის დადგენა, ნატოს ღია კარის პოლიტიკის კონტექსტში

კვლევის მეთოდები:

- მონაცემთა ანალიზი
- ისტორიულ-აღწერილობითი
- მონაცემთა მოპოვების
- ანალიზი
- ემპირიული

ჩემი კვლევა დაეფუძნა შემდეგი სახის საერთაშორისო უსაფრთხოების სკოლის ფარულ მიმდინარეობას, რომელთაგან გამოვყოფ შემდეგს:

- **ძალთა ბალანსი** - ერთ-ერთი უძველესი და უმთავრესი კონცეფცია საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში. იგი მჭიდროდ უკავშირდება პოლიტიკურ რეალიზმს და გამომდინარეობს საერთაშორისო სისტემის ანარქიული სტრუქტურიდან. ამ კონცეფციის მიხედვით, იმის გამო, რომ საერთაშორისო სისტემა ანარქიულია, თითოეული სახელმწიფოს ძირითადი ამოცანაა ბრძოლა თვითგადარჩენისა და თვითდამკვიდრებისათვის

- ურთიერთდამოკიდებულობის თეორია** - რობერტ კოენმა და ჟოზეფ ნაიმ გამოაქვეყნეს ნაშრომი Power and Interdependence (ძალაუფლება და ურთიერთდამოკიდებულობა). ისინი განსაზღვრავენ ტრანსნაციონალური პოლიტიკის და კოპლექსური ურთიერთდამოკიდებულობის კონცეფციებს. ამ ავტორების კოპლექსური ურთიერთდამოკიდებულების მოდელი საერთაშორისო ფენომენების ანალიზისთვის გამოიყენება, რომელიც 3 ამოსავალ ჰიპოტეზას გვთავაზობს, სახელმწიფოს გარდა სხვა მრავალი აქტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს, სახელდობრ ტრანსცანიოზანლური სახელმწიფოები, ისევე როგორ საერთაშორისო ინსტიტუტები არასამთავრობო ორგანიზაციები და ზეწოლის ჯგუფები
- რეალიზმის სკოლა**- რეალურად არ არსებობს თეორია, რომელიც შეძლებს ბოლომდე ახსნას საერთაშორისო ურთიერთობების ფართო სპექტრი, რომელშიც მოიაზრება როგორც კონფლიქტური, ისე ურთიერთთანამშრომლობის პოლიტიკა. პოლიტიკური რეალიზმი აზროვნების სკოლაა რომელიც საერთაშორისო ურთიერთობებს ძალაუფლების გადმოსახედიდან აღწერს. რეალისტებს მიაჩნიათ, რომ ძლიერნი აკეთებენ იმას რის გაკეთბაც თავიანთი ძალაუფლების წყალობით შეუძლიათ, ხოლო სუსტები იღებენ იმას, რისი თავიდან აცილებაც არ ძალუძთ. რეალიზმის სკოლის ერთ-ერთ დასაყრდენს ნიკოლო მაკიაველის თეზისები წარმოადგენდა, რომელიც მოუწოდებდა მთავრებს ემოქმედათ მიზანმიმართულად, რათა ძალაუფლება შეენარჩუნებინათ და სახელმწიფოების და სამხედრო ალიანსების მანიპულირება შესძლებოდათ.
- თანამშრომლობითი უსაფრთხოების თეორია**- ტერმინი თანამშრომლობითი უსაფრთხოება პოპულარული გახდა ცივი ომის დასრულებისთანავე. აღნიშნული ტერმინი გამოიყენებოდა უფრო მშვიდობიანი ვიდრე

იდეალისტური საერთაშორისო უსაფრთხოების პირობების უზრუნველყოფის მიზნით. “თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია უკავშირდება საერთაშორისო უსაფრთხოების ცნობილი ამერიკელი მკვლევარის რიჩარდ კოენის სახელს. რიჩარდ კოენის თეორიის მიხედვით გავრცელებულ საერთაშორისო უსაფრთხოების ორ კონცეფციას - კოლექტიური უსაფრთხოება და კოლექტიური თავდაცვა ემატება კიდევ ორი მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელიც მოიცავს ინდივიდუალურ უსაფრთხოებას და სტაბილურობის შენარჩუნებას.

ლიტერატურის მიმოხილვა:

ნატო- ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მშვიდობის და სტაბილურობის მთავარი გარანტი ნიკა ჩიტაძე. მარშალის გეგმის კურსდამთვრებულთა კავშირი, საქართველო-საერთაშორისო და უსაფრთხოების საკითხების კვლევის ცენტრი, თბილისი 2008. ავტორი აყალიბებებს შეხედულებებს თუ როგორ ხორციელდება ნატოში ქვეყნების გაწევრიანება და მიღება. თუ რა სარგებელი შეიძლება მიიღოს ალიანსმაც და ქვეყანამაც ურთიერთდამოკიდებულობის და პარტნიორობის ნიადაგზე.

საერთაშორისო ურთიერთობის თეორია, ეკა აკობია წიგნი მომზადებულია და გამოცემულია „სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის“ მიერ. ავტორს ნაშრომში განხილული აქვს ნატოს გაფართოება, რა მიზეზებიდან გამომდინარე შეიქმნა ნატო. განხილული აქვს ის თეორიები, რომელსაც ეფუძვნება ნატოს გაფართოების მიზნები და ამოცანები.

თავი I ნატოს გეოსტრატეგიული ამოცანები ცივი ომის პერიოდში

1.1 ნატოს ჩამოყალიბების პოლიტიკური საფუძვლები

მეორე მსოფლიო ომის დასასრულს, სადაც დამარცხებულ იქნა გერმანული ფაშიზმი, ახალმა ძალამ იჩინა თავი და სამყარო კიდევ ერთი საფრთხის წინაშე დააყენა - კომუნისტური იდეოლოგიის სახით. როგორც ჩვენთვის ცნობილი გახლავთ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ საბჭოთა კავშირმა თავისი პოზიციები კიდევ გაიმყარა მსოფლიოში, განსაკუთრებით კი ეს მოხდა აღმოსავლეთ ევროპაში, სადაც სტალინის ძალადობრივი ჩარევის შედეგად, ევროპის უმეტეს სახელმწიფოებში გატარდა მმართველობის არადემოკრატიული ფორმები. სადაც მიზანმიმართულად ახშობდნენ დემოკრატიულ ძალების მმართველობას. ამ ქმედებებმა მსოფლიოს დემოკრატიულ სახელმწიფოებში გამოწვია სამართლიანი უკმაყოფილებები. მდგომარეობა უფრო დაიძაბა 1947 წელს, როდესაც საბჭოთა კავშირმა კომუნისტური რეჟიმი დაამყარა პოლონეთში. იმავე წელს, როდესაც საბჭოთა კავშირმა უარი განაცხადა მიეღო „მარშლის გეგმის“ მიხედვით განხორციელებული ეკონომიკური დახმარება ამერიკისგან გადადგა შემდეგი ნაბიჯები, მათი ინიციატივით შეიქმნა საინფორმაციო ბიურო - „კონიმფორმი“, რომლის მიზანს წარმოადგენდა

კომუნისტური სახლემწიფოების და მათ იდეოლოგიის უზრუნველყოფას. საბჭოთა ექსპანსია გაგრძელდა 1948 წელსაც როდესაც, ჩეხოსლოვაკიაში საპარლამენტო არჩევნების ჩატარების შემდგომ, მოხდა სამხედრო გადატრიალება, რომლის შედეგადაც საბჭოთა კავშირმა ამ ქვეყანაში დაამყარა ერთპარტიული დიქტატურა. იმავე წელს საბჭოელებმა მოახდინეს ბერლინის ბლოკადა, რითაც დიდი საფრთხის წინაშე დააყენეს ბერლინის მოსახლეობა.

გარდა ზემოთ ხსენებულისა, საბჭოთა კავშირის ექსპანსიის საფრთხის წინაშე დადგნენ საბერძნეთი, ნორვეგია და თურქეთი.

საბჭოთა კავშირისგან მოსალოდნელი საფრთხეებისგან თავის ასაცილებლად მიღებულ იქნა ევროპაში საჭირო ზომები, რომელსაც უნდა შეესუსტებინათ საბჭოთა კავშირის გეოპოლიტიკური ზეგავლენა ევროპაში და განემტკიცებინათ დემოკრატიული იდეოლოგია. ამ მიზნით სასწრაფოდ გახლდათ საჭირო უმკაცრესი ზომების მიღება, პირველ რიგში კი ეს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა განახორციელა, როდესაც მან 1946 წლის 5 მარტს ქალაქ ფულტონში განაცხადა „რკინის ფარდის“ არსებობის შესახებ, ამ ყველაფრის ფონზე ჩერჩილმა მოუწოდა შექმნილიყო ამერიკულ ბრიტანული სამხედრო კავშირი კომუნიზმთან ბრძოლისთვის.

მსოფლიოში დემოკრატიის დასაცავად და მის უზრუნველსაყოფად, ამერიკა და დასავლეთ ევროპაც გადავიდა გადამწყვეტი ზომების მისაღებად. კერძოდ კი ამერიკაში იქნა მიღებული ჯონ ჩენანის მიერ შექმნილი ე.წ. „შეკავების დოქტრინა“, რომლის მთავარი დედა აზრი მდგომარეობდა დემოკრატიული რეჟიმის მხარდაჭერაში მთელი მსოფლიოს მამტაბით და აგრეთვე კომუნისტურ სახლემწიფოებში პროგრესული ძალების მხარდაჭერაში.

„შეკავების“ დოქტრინამ უფრო ფართომამტაბიანი სახე მიიღო „ტრუმენის“ დოქტრინაში და „მარშლის გეგმაში“.

„ტრუმენის დოქტრინა“ შექმნა ამერიკის პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა 1947 წლის 12 მარტს ამერიკის კონგრესზე. სხდომაზე განიხილეს ის საფრთხეები რასაც საბჭოთა კავშირი უქადდა ევროპის სახელმწიფოებს, პირველ რიგში კი საბერძნეთსა და თურქეთს. ამ ყველაფრის თავიდან ასარიდებლად ტრუმენმა მოუწოდა ამერიკის კონგრესს გამოეყოთ 400 მილიონი დოლარი თურქეთსა და საბერძნეთის მთავრობის დასახმარებლად. ტრუმენის მიერ წამოწყებული გეგმა განხორციელებული იქნა 1947 წლის 15 მარტს, რომლის შედეგადაც მიღწეულ იქნა შეთანხმებები ამერიკა საბერძნეთსა და ამერიკა თურქეთს შორის. ეს დოკუმენტი განმსაზღვრელი იყო იმ ფაქტის, რომ ამით ამერიკა დახმარებას უწევდა როგორც, საბერძნეთს ასევე თურქეთს. ამ შეთანხმებამ დიდი მნიშვნელობა შეიძინა ამერიკისთვის, იქიდან გამომდინარე რომ, მათ შეიძინეს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პარტნიორი სახელმწიფოები, რითაც ამერიკამ შექმნა წინაპირობა წინ აღსდგომოდა საბჭოთა კავშირის ექსპანსიას ახლო აღმოსავლეთში.

„ტრუმენის დოქტრინა“ გახლდათ პირველი ოფიციალური დოკუმენტი საბჭოთა კავშირის შესაჩერებლად განხორციელებული სტრატეგია. იმ სტრატეგიისა, რომლის მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენდა დემოკრატიული სახელმწიფოების ერთიანობა.

დასავლეთ ევროპისგან განსხვავებით ამერიკა მეორე მსოფლიო ომიდან ეკონომიკურად გამარჯვებული გამოვიდა. მაგალითისთვის 1943 წლისთვის ამერიკის სამრეწველო წარმოება ორჯერ დიდი იყო ვიდრე ეს 1937 წელს. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ამერიკაზე მთლიანი შიდა პროდუქტის 50% მოდიოდა. 1947 წელს ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჯორჯ მარშალმა წარმოადგინა გეგმა რითაც იგი დახმარებას გაუწევდა ევროპას, რომელიც შემდეგ „მარშალის გეგმის“ სახელით გახლდა ცნობილი. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ეს გეგმა და დამხარება შესთავაზეს საბჭოთა კავშირსაც, ამ უკანსკნელმა კი ამერიკა უარით გაისტუმრა. 1948 წლიდან 1952 წლის ჩათვლით ევროპის სახელმწიფოებმა ამერიკისგან მიიღეს დაახლოებით 17

მილიარდი დოლარის დახმარება, ეს გახლდათ ეკონომიკური თვალსაზრისით ყველაზე სწარფი განვითარების პერიოდი. დასავლეთ ევროპაში დახმარების მიღების შემდეგ სამრეწველო პროდუქციის მოცულობა საგრძნობლად გაიზარდა და ასევე ორმაგად გაიზარდა სოფლის მეურნეობა.

ამ ყველაფრის ფონზე, სანამ ეს პროგრამა განხორციელდებოდა, მეორე მსოფლიო ომის დასრულებისთანავე მომავალმა საფრთხეებმა საკმაოდ შეაშინა დასავლეთ ევროპა, რომელიც საკმაოდ დასუსტებული იყო ეკონომიკურად. ამის მაგალითზე საფრანგეთში ომის დასრულების შემდეგ მრეწველობა საკმაოდ იყო დაცემული მიახლოებით 40 %. ხოლო რაც შეეხება გაერთიანებულ სამეფოს მათ დაკარგეს ეროვნული საგანძურის მნიშვნელოვანი ნაწილები. ომის დასასრულს დიდ ბრიტანეთში სამრეწველო წარმოება გაცილებით დაბალი იყო ვიდრე ეს ომის წინა პერიოდში. ევროპაში ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად შეიქმნა ორგანიზაცია სახელწოდებით: „ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია“. რომლის ძირითადი მიზანი გახლდათ ევროპული სახელმწიფოების თანამშრომლობა ერთმანეთში და „მარშალის გეგმისგან“ მიღებული დახმარების ერთმანეთში გაყოფა. ამავდროულად საბჭოთა საფრთხემ და ძალთა ბალანსის ცვლილებამ ნათელი მოჰფინა იმ ფაქტს, რომ ევროპის ეკონომიკური ორგანიზაციის შექმნასთან ერთდ საჭირო გახლდათ ევროპული თავდაცვითი კავშირის შექმნა. ეს იდეა აზრად პირველად თავში გაერთიანებული სამეფოს პრემიერ მინისტრს ერნესტ ბევინს მოუვიდა 1948 წელს, როდესაც მან გაერთიანებული სამეფოს პალატის სხდომაზე წარმოადგინა იდეა ევროპის სახელმწიფოებს შორის კავშირის შექმნაზე. იმავე წელს, გაერთიანებულ სამეფოს, საფრანგეთის, ნიდერლანდების, ლუქსემბურგისა და ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის ხელი მოეწერა ბრიუსელის ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებდა კულტურულ სოციალურ და ეკონომიკურ თავდაცვას. ხოლო იმავე წელს ბრიუსელის ხელშეკრულებაში მონაწილე სახელმწიფოებამ დაარსეს ევროპული სახელმწიფოების საკავშირო ორგანიზაცია. ამავდროულად ევროპული სახელმწიფოს მეთაურები აცნობიერებდნენ იმ ფაქტს, რომ მეორე მსოფლიო ომისგან

დასუსტებულებს არ შეეძლოთ მარტო მათ გაეწიათ წინააღმდეგობა საბჭოთა კავშირისგან მოსალოდნელი საფრთხისთვის. ამიტომ „მარშალის გეგმის“ და ამერიკის დახმარება ევროპის სახელმწიფოებისთვის არ იყო საკმარისი, რათა შეეჩერებინათ საბჭოთა კავშირისგან მოსალოდნელი საფრთხე. ამისთვის საჭირო იყო ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპის სახელმწიფოებს შორის შექმნილიყო კოლექტიური თავდაცვის მსგავსი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა მსოფლიოს დემოკრატიული სახელმწიფოების პოლიტიკურ-სამხედრო კავშირს. ამ მიზნის განსახორციელებლად 1948 წელს ამერიკამ საფუძველი ჩაუყარა „ვანდერბერგის რეზოლუციას“, რომლის თანახმადაც ამერიკა მომავალში აქტიურ მონაწიელობას მიიღებდა ევროპის და სხვა მსოფლიო სახელმწიფოებში უსაფრთხოების უზრუნველყოფას. 1948 წლის ზაფხულში ამერიკამ კანადამ და ბრიუსელის ხელშეკრულებაში მყოფმა სახელმწიფოებამ დაიწყეს მოლაპარაკებები ჩრდილოატლანტიკური რეგიონის უსაფრთხოების და თავდაცვის უზრუნველსაყოფად. ცოტა მოგვიანებით კი ბრიუსელის ხელშეკრულებაში მყოფმა სახელმწიფოებმა სრული თანხმობა განაცხადეს ჩრდილოატლანტიკური რეგიონის თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ამა წლის ზამთარში ვაშინგტონში განახლდა საუბრები ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ხელმოწერაზე. ამერიკის კანადისა და ბრიუსელის ხელშეკრულებაში მონაწილე ევროპული სახელმწიფოების მონაწილეობით. 1949 წელს უკვე მონაწილე სახელმწიფოება შესთავაზეს ევროპის სხვა ქვეყნებს გაერთიანებულიყვნენ ამ კოლექტივში ესენი გახლდათ: დანია, იტალია, ისლანდია, პორტუგალია და ნორვეგია, რათა მათაც შესძლებოდათ მიერთებოდნენ ამ ხელშეკრულებას. 1949 წლის 4 აპრილს 12-მა სახელმწიფომ : ამერიკამ, კანადამ, საფრანგეთმა, დიდმა ბრიტანეთმა, იტალიამ, ისლანდიამ, დანიამ, ბელგიამ, პორტუგალიამ, ნორვეგიამ, ლუქსემბურგმა და ნიდერლანდებმა ქალაქ ვაშინგტონში ხელი მოაწერეს გაერთიანებული წესდების 51-ე მუხლის თანახმად ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის ე.წ. ნატოს შექმნას. ნატოს ხელშეკრულება ძალაში მოვიდა 1949 წლის 24 აგვისტოს.

ჩრდილოატლანტიკურ ორგანიზაციაში არსებობს განსაკუთრებული ხასიათის მატარებელი განსაზღვრება, რომელიც ითვალისწინებს შემდეგს:

- მე-5 მუხლს, რომელიც გულსიხმობს ალიანსში მყოფი ქვეყნების ვალდებულებას იმის შესახებ, რომ გარე თავდასხმის შემთხვევაში განახორციელებენ კოლექტიურ თავდაცვას.
- ამერიკის შეერთებული შტატების და კანადის ჩართულობას ევროპაში, მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

ასე დამყარდა ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკას შორის ისტორიული კავშირი. ეს გაერთიანება უნდა გამხდარიყო ევროპისთვის დამცავი მექანიზმი ნებისმიერი მოსალოდნელი საფრთხისგან და აგრესიისგან¹.

ნატო წარმოადგენს უნიკალურ ალიანსს, იქიდან გამომდინარე, რომ ეს ალიანსი დღემდეც არსებობს. ასეთ შედეგით კი ვერცერთი სხვა ორგანიზაცია თუ ალიანსი არ გამოირჩევა. ეს შეიძლება აიხსნას იმ ფაქტით, რომ ნატო არ წარმოადგენს მხოლოდ სამხედრო ალიანსს. მისი ორგანიზებით და მოწყობით უფრო საერთაშორისო ორგანიზაციას წააგავს. ნატოს შტაბ ბინაში, რომელიც მდებარეობს ქალაქ ბრიუსელში, ყოველთვის იმყოფებიან შიგნით ელჩები, ასევე იმყოფებიან პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლები. ნატოს აქვს ძალიან დიდი სამხედრო და სამოქალაქო სტრუქტურა და სხვა უამრავი განყოფილებებიც, რომელიც ასევე არასამხედრო საქმიანობითაც არიან დაკავებულნი. მაგალითისთვის ნატო სამხედრო კვლევების დაფინანსებითაც კი კავდება. ნატოს დიდი ხნის არსებობის საიდუმლო კიდევ იმაში იმალება, რომ ნატოს წევრ ქვეყნებს გააჩნიათ საერთო ფასეულობები და იბრძვიან ერთმანეთისთვის. ალბათ ამით უნდა აიხსნას ის ფაქტიც, რომ ცივი ომის პერიოდშიც შეიქმნა ნატოს მსგავსი უამრავი ორგანიზაცია მაგრამ დიდხანს ვერ გააგრძელეს არსებობა. მაგალითისთვის 1955 წელს შეიქმნა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის

¹ ჩიტამე, ნ. ნატო-ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი. თბილისი 2008 წელი გვ 282-287

ხელშეკრულების ორგანიზაცია ე.წ. სეატო, რომელშიც გაწევრიანდა გაერთიანებული სამეფო, ავსტრალია, ამერიკა, პაკისტანი, საფრანგეთი, ფილიპინები, ახალი ზელანდია და ტაილანდი, მაგრამ 1977 წელს შეწყვიტა ფუნქციონირება, მიზეზად კი სახელდება საერთო დედა არსის და მიზნის დაკარგვა. ნატო კი სეატოსგან გამორჩულად კიარ შეწყვიტა არსებობა არამედ გაფართოება დაიწყო.

1.2 ნატოს გაფართოების პირობები ცივი ომის პერიოდში

სანამ ნატოს გაფართოებაზე დავიწყებთ საუბარს, ცოტა რამ ცივი ომის დაწყების მიზეზებზე.

1.ამერიკის შეერთებულ შტატებმა შექმნა შეხედულება ახალ მსოფლიო წესრიგზე, რომელიც გულისხმობდა საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობას. მსოფლიოში ერთიანი და მშვიდობიანი მსოფლიოს არსებობის მთავარი ფაქტორი უნდა გამხდარიყო ერთიან საერთო ბაზარი. სწორედ აქ შეიქმნა წინააღმდეგობა, რომლის მთავარ მიზეზად შემდეგ იქცა ზუსტად ცივი ომის დაწყება, უფრო ზუსტად კი თავისუფალი ბაზარი ამერიკას გზას უხსნიდა მსოფლიოს უამრავ რეგიონებში სადაც შეეძლოთ თავიანთი ეკონომიკისთვის გასაქანი მიეცათ.

2.ცივი ომის დაწყების მიზეზად შეიძლება ასევე ჩავთვალოთ საბჭოთა კავშირის მიერ განხორციელებული ექსპანსია. საბჭოთა კავშირმა ,ზურგი აქცია ატლანტიკის ქარტიის ერთ-ერთ მთავარ პაქტს და დაარღვია ერის თვითგამორკვევის უფლება, საბჭოთა კავშირმა დაიწყო თავისი გავლენის განხორციელება აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში.

3. ასევე საბჭოელებმა ჩამოაყალიბეს საიდუმლო აგენტურები, რომელბიც ჩანერგილები იყვნენ საერთაშორისო ორგანიზაციებში და ქვეყნებში საბჭოთა კავშირის

სასარგებლოდ. როგორც უკვე ზემოთ ვახსენეთ ჩერჩილმა განაცხადა, რომ ევროპას ჩამოეფარა რკინის ფარდა, ამიტომ საჭირო იყო და მოუწოდა კიდევ თავისუფალ ერებს დაეწყოთ ე.წ. „ჯვაროსნული ლაშქრობა“ საბჭოელების წინააღმდეგ.

1945 წელს მომხდარი ევროპის 2 ნაწილად დაყოფამ გამოიწვია და გადაწყვიტა მილიონობით ადამიანის ბედი. სამი მოკავშირე სახელმწიფოს გაერთიანებული სამეფოს, ამერიკის შერთებული შტატების და საბჭოთა კავშირის გამარჯვებამ გამოიწვია დიდი აჟიოტაჟი და ოპტიმიზმი იმასთან დაკავშირებით, რომ შემდეგ ევროპაში შეიქმნებოდა ჰარმონიული და მყუდრო მშვიდობიანი გარემო სახელმწიფოების განვითარებისთვის, მაგრამ შემდეგ რაც მოხდა ყველაფერი პირიქით შეცვალა და დაგვანახა, რომ ეს ყველაფერი ილუზია გახლდათ. ნაციზმზე გამარჯვების შემდეგ საბჭოთა კავშირმა გეზი აიღო დიქტატურისკენ ერთი დიქტატურა, რომელსაც ფაშიზმი ერქვა შეცვლა მეორე დიქტატურით კომუნიზმით. ევროპის დაშლა გახლდათ ცივი ომის მთავარი ნიშანდობრივი სახე.

1952 წელს ნატომ განახორციელა პირველი გაფართოება, რომლის დროსაც მიიღო ორი სახელმწიფო, ამ სახელმწიფოების ერთ ალიანსში ხილვა კი არა, ერთმანეთთა კარგი ურთობის ჩამოყალიბებაც კი შეუძლებელი გახლდათ, მაგრამ ნატომ ეს ყველაფერი შემდგომ შესაძლებელი გახადა. ეს ორი სახელმწიფო გახლდათ საბერძნეთი და თურქეთი, რომლებსაც ერთმანეთთან ცუდი მოგონებები გააჩნიათ ომის სახით. ის რო, დღესდღეისობით ამ ორი ქვეყანაში რომ მშვიდობა და განვითარებაა ზუსტად ნატოს დამსახურებაა. საბერძნეთის ნატოში გაწვრიანების შემდეგ, ქვეყანაში განადგურდა კომუნისტური რეჟიმი, ქვეყანამ კი განვითარება და სიმშვიდე ჰპოვა ამის შემდეგ. რაც შეეხება მეორე სახელმწიფოს თურქეთს, მას საბჭოთა კავშირი მუქარის სახით ბოსფორის სრუტის დათმობას აიძულებდა მისთვის, რუსეთის იმპერია ამ ნაწილის მისაკუთრებას საუკუნეების განამავლობაში ცდილობდა. ეს ორი სახელმწიფო კომუნისტურ რეჟიმს კი გადაურჩნენ, მაგრამ ბოლომდე მაინც არ გამქრალა კომუნისტური აგრესიის ზეწოლა.

1974 წელს თურქეთმა არმია შეიყვანა კვიპროსის ტერიტორიაზე, რამაც საბერძნეთთან გამოიწვია დაძაბულობა და რომ, არა ნატო შესაძლებელი იქნებოდა მათ შორის ფართომასშტაბიანი კონფლიქტი დაწყებულიყო. ასევე გასახსენებელია ის ფაქტიც, რომ ბერძნებმაც და თურქებმაც 1950-52 იან წლებში თავი იჩინეს კორეის კონფლიქტში, სადაც სტალინის მიერ მიცემული მხარდაჭერით ჩრდილოეთ კორეამ ომში გამოიწვია სამხრეთ კორეელები. ამერიკის შეერთებული შტატების და მისი მოკავშირე სახელმწიფოების შემდეგ სამხრეთ კორეა გადაურჩა კატასტროფას და დაღუპვას. ამ ფაქტით ბერძნებმაც და თურქებმაც დაამტკიცეს ის, რომ მათ არამარტო საკუთრი თავის დაცვა შეუძლიათ არამედ მსოფლიოში უსაფრხოების განმტკიცება და გაფართოების შნოც შესწევთ. საბჭოთა ხელისუფლების ამ ქმედებამ, დასავლეთ მსოფლიოს კიდევ ერთელ დაანახა და დაუმტკიცა ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირი წარმოადგენდა დიდ საფრთხეს დასავლეთისთვის და ევროპისთვის ამიტომ საჭრო გახლდათ ნატოს კიდევ უფრო გამლიერება. კორეის ომს კი მხოლოდ საბჭოთა მეთაურის სტალინის გარდაცვალების შემდეგ ეღირსა დასასრული და სიმშვიდე, ეს მოხდა 1953 წელს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გაფართოება ნატომ 1955 წელს განახორციელა. ეს სახელმწიფო გახლდათ დასავლეთ გერმანია, როგორც უკვე ერთხელ ვახსენეთ, გერმანია ოთხ ოკუპირებულ ზონად იყო დაყოფილი, მაგრამ დასავლეთის მხარეს უფრო პროგრესულები აღმოჩნდნენ და დროულად მიხვდნენ რომ ეს პოზიცია მათთვის წამგებიანი იყო. გერმანელი ხალხის გაკონტროლების მცდელობას და მათი გაუცხოებას, სჯობდა მათი სახით კარგი მოკავშირეები შეეძინათ. ამ მიზნით 1947-48 წლებში ამერიკული, ბრიტანული და ფრანგული ზონები გაერთიანდნენ. ამ ქმედებამ გააღიზიანა საბჭოთა ბელადი, რომელმაც გადაწყვიტა დასავლეთ გერმანიის ბლოკადაში მოქცევა. საბჭოთა დედაქალაქში ვარაუდობდნენ, რომ ბლოკადა გასტეხდა დასავლეთ ბერლინს და მთლიანად გერმანიაზე განსახორციელებელ იდეებზე იმდეს დააკარგვინებდა დასავლეთ სახელმწიფოებს, მაგრამ ნურას უკაცრავად, ყველაფერი პირიქით განხორციელდა, 24 საათანი რეჟიმით თვეების მანძილზე ამერიკელები,

ბრიტანელები, ფრანგები და კანადელები ჰაერიდან გერმანიის მოსახლეობას აწვდიდნენ საკვებ პროდუქციებს საწვავს და სამედიცინო მედიკამენტებს, ეს არაფორმალური ომი კი მათი გამარჯვებით დასრულდა. საბჭოთა კავშირი კი უძლური გახლდათ, ამიტომ მათ გადაწყვიტეს ბლოკადის მოხსნა და უკან დახევა. 1949 წელს კი სამი ბლოკისგან წარმოიშვა დასავლეთ გერმანია. საბჭოთა სახელმწიფოსთვის ეს კი უკვე დიდ მარცხად განისაზღვრებოდა, მაგრამ მათ მთვარი მარცხი კიდევ წინ ელოდათ გერმანიის ნატოში შესვლის სახით. დასავლეთ ევროპის ერთ-ერთ უძლიერესი სახელმწიფოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შესვლა საბჭოთა კავშირისთვის გახლდათ საშინლად მიუღებელი ფაქტი, რომ მათ ამერიკელებს წინადადებით მიმართეს. საბჭოთა ხელისუფლებამ ამერიკელებს შესთავაზა გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილის (რომელიც საბჭოელების განკარგულებაში იმყოფებოდა) და გერმანიის დასავლეთ ნაწილის გაერთიანება მოეხდინათ, იმ პირობით თუ ერთიანი და სრული გერმანია არ შევიდოდა ნატოში და იქნებოდა ნეიტრალური სახელმწიფო².

ეს გახლდათ რთული გადაწყვეტილება ამერიკელებისთვის, ვინაიდან და რადგანაც მათ კარგად ესმოდათ ის ფაქტი, რომ გერმანელებს ოცნებად ჰქონდათ გაერთიანებინათ გერმანია, მაგრამ საბოლოოდ ამერიკელებმაც და დასავლეთ გერმანელებმაც მიიღეს გადაწყვეტილება და არ დაეთანხმნენ საბჭოთა კავშირის შემოთავაზებას. გერმანელი კანცლერის განცხადებით, დასავლეთ გერმანიისთვის უმჯობესი იქნებოდა ყოფილიყო მოკავშირე სახელმწიფოსთან ერთდ გაერთიანებული, რათა შემდგომში გამლიერებულყოფი და ფეხზე დამდგარიყო. ამერიკაში კი მიაჩნდათ გერმანიის ნეიტრალიტეტი ცუდ სვლად მათი მხრიდან, რადგანაც პირველ რიგში მათ მოუწევდათ გერმანიის ტერიტორიად ამერიკული ჯარის გამოყვანა, რომლებიც უნდა წასულიყვნენ ძალიან შორის მაგ ტერიტორიებიდან თუნდაც ამერიკაში დაბრუნების პერსპექტივით, მაშინ როდესაც საბჭოთა კავშირის

² აკობია, ე. საერთაშორისო ურთიერთობების თეორია. თბილისი 2006 წელი, გვ 56-59

არმია ჩასაფრებული იქნებოდა იქვე სამეზობლოში, პოლონეთში ან თუნდაც გერმანიის საბჭოთა მხარეს და დაელოდებოდა ხელსაყრელ მომენტს შეჭრისთვის რათა, დაეპყრო გერმანიის დანარჩენი ნაწილებიც.

საბჭოთა კავშირის ნეიტრალიტეტზე საუბარი და ქმედება პირველი არ გახლდათ, 1920 წელს მათ მოახდინეს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და სახელმწიფო სცნეს როგორც ნეიტრალური. ამ ფაქტით საქართველომ დაკარგა ყველანაირი შანსი ეპოვა მოკავშირე სახელმწიფოები და 1921 წელს რუსეთმა მარტივად მოახდინა საქართველოს დაპყრობა, ამით რუსეთმა დაარღვია საქართველოსთან დადებული შეთანხმება. როგორც ისტორია გვასწავლის ეს ფაქტი საქართველოს მიმართ არ იყო პირველი სამწუხაროდ.

გერმანელებმა უარი განაცხადეს საბჭოთა კავშირიდან შემოთავაზებული იდეაზე და ამით ნატოს შეუერთდა სერიოზული მოთამაშე სახელმწიფო მსოფლიო პოლიტიკაში. საბჭოთა კავშირმა ამის საპასუხოდ საკუთარი სამხედრო ორგანიზაცია შექმნა ვარშავის პაქტის სახით, რომელშიც გააწევრიანა თავისი მოკავშირე ევროპული სახელმწიფოები. ამ ორგანიზაციაში მყოფი სახელმწიფოების მოქალაქეებს წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ რა სამხედრო ორგანიზაციაში აიძულებს შესვლა, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე ამ ევროპულ სახელმწიფოებს მმართველობა ადგილობრივ კომუნისტურ პარტიებს ეგდოთ ხელში. ამ სახელმწიფოებში არჩევნები უბრალოდ ბუტაფორიას წარმოადგენდა, რადგან ოპოზიციური პარტიები ფაქტობრივად არ არსებობდა. განსაკუთრებული დაუნდობლობით გამოირჩეოდა აღმოსავლეთ გერმანიის რეჟიმი, რომელსაც აღიზიანებდა მის გვერდით არსებული თვისუფალი განვითარებული და მეტად შეძლებული დასავლეთ გერმანია. აღმოსავლეთ ბერლინიდან ხალხი დასავლეთ ბერლინის მიმართულებით გარბოდა, ამ ფაქტის შესაჩერებლად საბჭოთა კავშირმა ააგო კედელი, რათა ჩაეხშო და შეეჩრებიან ეს უწყვეტი მიმოსვლა. ამ კედლით ორად გაყო საბჭოთა კავშირმა ბერლინი, მაგრამ მაინც ვერ შეაჩერა მოსახლეობა ამ

კედლემა, ხალხმა გვირაბების თხრა დაიწყო და ასე განაგრძო დასავლეთ ბერლინში მიმოსვლა.

1956 წელს საბჭოელებს უნგრეთის სახელმწიფო აუჯანყდა და გადაწყვიტეს კიდეც ვარშვის პაქტიდან გასვლა, რასაც საბჭოთა მხრიდან მათ სახელმწიფოში არმიის შეყვანა მოყვა, რასაც შემდეგ სისხლისღვრა და უამრავი ადამიანის დახოცვა მოყვა, ამით კიდეც ერთხელ დაგვანახა საბჭოთა კავშირმა, რომ მათი ზეგავლენიდან გამსოვლას არავის შეარჩენდა.

საბჭოთა კავშირის ლიდერად ხრუშოვის ქცევის შემდეგ დასავლეთში გაჩნდა ფანტაზია იმის შესახებ, რომ ხრუშოვი საბჭოთა კავშირს უფრო ლმობიერს და ცივილურს გახდიდა, მაგრამ ეს ილუზიაც მალევე დაიმსხვრა. მიუხედავად იმისა, რომ ხრუშოვი სტალინსიგან განსხვავებით უფრო სასტიკი არ გახლდათ, მაგრამ ეს სიტუაციას დიდად არ ცვლიდა. უნგრეთისა და აღმოსავლეთ გერმანიის შემხედვარე დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისთვის ნატოში გაწევრიანება კიდე უფრო რეალური და მნიშვნელოვანი ხდებოდა.

ცივი ომის პერიოდში ნატოში გაწევრიანებული სახელმწიფოების ქრონოლოგია:

1952 წელი - თურქეთი და საბერძნეთი

1955 წელი - დასავლეთ გერმანია

1982 წელი - ესპანეთი

1.3 ნატო ღია კარის პოლიტიკის გაფართოება და წინაღობა ცივი ომის პერიოდში

ამ თავში კი უბრლო დეტალურად განვიხილავთ ნატოს იმ სირთულეებზე რაც მის პოლიტიკას შეეხო ცივი ომის პერიოდში, დავიწყოთ მე-20 საუკუნის 50 - იანი წლებიდან.

ამ სამხედრო ორგანიზაციის დაარსებიდან 5 თვის თავზე, ნატომ მიიღო დიდი გამოწვევა, როდესაც 1949 წელს გახდა ცნობილი საბჭოელების მიერ ატომური იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით. ამ ფაქტმა კი ამერიკას დააკარგინა ზეგავლენა ატომურ იარაღთან დაკავშირებით მსოფლიოში. ამისათვის კი აუცილებელი გახლდათ გადამწყვეტი ზომების მიღება, რათა თავიდან აეცილებინათ კომუნისტური თავდასხმები. ამიტომ საჭირო გახლდათ სასწრაფო ნაბიჯების გადადგმა ნატოს მხრიდან ფინანსური კუთხით. მათ განახორციელეს ტრუმანის გეგმა, რომლის დედა არსი ევროპელი პარტნიორების დახმარებას გულსიხმობდა, ეს ყველაფერი კი საბოლოოდ დაჯდა 900 მილიონ დოლარამდე. ამის შემდეგ დაიწყო რეორგანიზაცია ნატოს სტრუქტურებში.

პირველი სტრუქტურული ცვლილება რაც განხორციელდა გახლდათ შეიარაღებული ძალების სისტემის შექმნა და მათი შტაბის დაარსება ევროპაში, რომელმაც სტარტი აიღო 1951 წელს. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტებიც, რაც ჩრდილო ატლანტიკურმა ორგანიზაციამ საგანმანათლებლო სისტემაში განახორციელა, კონკრეტულად კი 1951 წელს ნატომ პარიზში გახსნა სამხედრო კოლეჯი. ასევე მიუნხენის მახლობლად ნატომ შექმნა საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელსაც შემედგომ ნატოს სკოლა დაერქვა. 1953 წელს საბჭოთა კავშირმა განაცხადა, რომ ის ფლობდა წყალბადის ბომბს, ხოლო 2 წლის თავზე, როდესაც დასავლეთ გერმანია შეურთდა ნატოს, მათ ჩამოაყალიბეს მათ საპირწონედ სამხედრო ორგანიზაცია ვარშავის პაქტი. სადაც გაწევრიანდნენ : ბულგარეთი, ალბანეთი, საბჭოთა კავშირი, აღმოსავლეთ გერმანია, ჩეხოსლოვაკია და რუმინეთი. თუმცა შემდგომ პერიოდში ვითარება დაიძაბა, ჯერ საბჭოელებს აუჯანყდა პოლონეთი შემდეგ კი უნგრეთი, მიუხედავად იმისა, რომ ორივე აჯანყება სისხლისღვრით და საბჭოელების გამარჯვებით იქნა ჩახშობილი,

მაინც შეარხია საბჭოთა კავშირის სკამი და ჰეგემონია. ასევე ამ პერიოდში საბჭოთა კავშირს ეცილებოდა კიდევ ერთი დიდი კომუნისტური სახელმწიფო ბატონობაში ეს გახლდათ ჩინეთი.

მიუხედავად იმისა, რომ უნგრეთში მომხდარი ინტერვენცია ნატოს მიერ გახლდათ მიუღებელი, ვერც პოლონეთის და ვერც უნგრეთის გაწევრიანება ვერ მოხდებოდა ნატოში, იქიდან გამომდინარე რომ ეს სიტუაცია შექმნიდა მესამე მსოფლიო ომის დაწყების საბაზს, სადაც შესაძლებელი გახდებოდა გამოეყენებინათ ბირთული იარაღები.

1951 წელს საბჭოთა ძალების შევიწროვების და შემცირების მიზნით, შეიქმნა ახალი ორგანიზაცია, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ : ახალი ზელანდია, ამერიკის შეერთებულ შტატები და ავსტრალია, ამ ორგანიზაციას კი ეწოდა ანზიუსი. რაც შეეხება აზიის რეგიონში აქ ამერიკამ კავშირი დაამყარა და შექმნა ორგანიზაცია სეატო, რომლის რიგებშიც ირიცხებოდნენ : საფრანგეთი, ახალი ზელანდია, ავსტრალია, დიდ ბრიტანეთი, ფილიპინები, პაკისტანი და ტაილანდი.

ნატოში 1952 წელს თურქეთის მიღებამ, საშუალება მისცა და გზა გაუხსნა თავიანთი პოზიციები გამეყარებინათ საბჭოთა კავშირის დასავლეთ ნაწილთან, ასევე ამ განზრახვით 1955 წელს ხელი მოეწერა ბალდათის პაქტს, რომლის შედეგადაც შეიქმნა ორგანიზაცია სენტო. ამ ორგანიზაციაში კი შედიოდნენ:ერაყი, ირანი, თურქეთი, პაკისტანი, დიდი ბრიტანეთი და ამერიკა.

60-იან წლებში ნატოს სიტუაცია გაურთულდა აღმოსავლეთთან, ამ პერიოდში კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტები გახლდათ:

- 1960 წელს გაუქმდა მოლაპარაკებები დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს, საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შორის გერმანიის საკითხთან დაკავშირებით.
- იმავე პერიოდში საბჭოელების მიერ იქნა განადგურებული ამერიკული სამხედრო თვითმფრინავები.

- 1961 წელს კი აშენდა ბერლინის კედელი, რომელიც წარმოადგენდა ცივი ომის ერთგვარ სიმბოლიკას.

ამ მიუღებელი საქციელების საპასუხოდ ნატო იძულებული გახდა მიეღო სასწრაფო ზომები, ამ მიზნით და მსოფლიოში მშვიდობის და დემოკრატიის დამყარების მიზნით მათ კანადამ და კიდევ 18-მა სახელმწიფომ ხელი მოაწერეს ეკონომიკურ თანამშრომლობას, რომელსაც შემდეგ დაემატნენ იაპონია ახალი ზელანდია და ავსტრალია³.

1961 წლის ზამთარში ჩატარდა ნატოს სხდომა საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე, სადაც სასტიკად მიუღებლად ჩათვალეს ბერლინის კედლის მშენებლობა და მზად იყვნენ წამოეწყოთ დიპლომატიური ურთიერთობები საბჭოთა კავშირთან.

1962 წელს ამერიკის იმდროინდელმა პრეზიდენტმა კენედმა და დიდი ბრიტანეთის მინისტრმა მაკმილანმა საბჭოთა კავშირის გენერალურ მდივანს ნიკიტა ხრუშოვს ოფიციალური წინადადებით მიმართეს, იმის თაობაზე, რომ აკრძალული ყოფილიყო ბირთული იარაღების საცდელ ვარიანტებად გამოყენება და შეჩერებულიყო ეს პროცესი. ამ პასუხზე უარის თქმის შემდეგ ნატოს პარტნიორ სახელმწიფოების მინისტრებმა განიხილეს ბირთული იარაღის გამოყენება საბჭოელების წინააღმდეგ რასაც „ათენის დირექტივები“ უწოდეს. ამის შემდეგ ნატოში შეიქნა ბირთული თავდაცვისა და ბირთვული დაგეგმარების ჯგუფები.

ვითრება ამ ორ ზე სახელმწიფოს შორის მაშინ უფრო გამძფრდა, როდესაც საბჭოელებმა დაიწყეს ბირთული იარაღების განთვსება კუბის ტერიტორიაზე, ამის საპასუხოდ კი ამერიკელებმა მოახდინეს კუბის მთლიანი იზოლირება, ამ ქმედებების შედეგად მსოფლიო კიდევ ერთი მესამე მსოფლიო ომის საშიშორების წინაშე დადგა. საბოლოოდ კი ყველაფერი მშვიდობით დასრულდა და საბჭოელებმა სარაკეტო სისტემების გათიშვა მოახდინეს.

³ ბურკაძე, ხ. & კორეპანოვი, ა. „ნატო ღია კარი“. თბილისი : „საარი“. 2010 წელი. გვ 30-34

1996 წელს ნატოს სტრუქტურულიდან გავიდა საფრანგეთი, ეს მოვლენა მოხდა იმის შემდეგ, რაც საფრანგეთის პრეზიდენტმა შარლ დე გოლმა ამერიკელებს სთხოვა, მის ქვეყანას ისეთივე ავტორიტეტით ესარგებლათ ორგანიზაციაში როგორც დიდ ბრიტანეთს და ამერიკას გააჩნდათ. საფრანგეთის დიდი როლი გააჩნდა ორგანიზაციაში, ბოლობოლო ფრნაგული ენა ბირტანულთან ერთად ოფიციალური ენა გახლდათ ნატოში, მაგრამ შარლ დე გოლს სურდა უფრო მეტი რათა ფრანგი ხალხისთვის მიეცა უფრო დიდი თვითშეფასება და მოტივაცია. ამ მოთხოვნაზე უარის მიღების შემდეგ, შარლ დე გოლმა განაცხადა, რომ საფრანგეთი თვითონ იზრუნებდა საკუთარ თავზე და ატომურ იარაღსაც კი შექმნიდა. საფრანგეთის პრეზიდენტმა ნატოს წევრ სახელმწიფოებს მოსთხოვა საკუთარი ტერიტორიებიდან გაეყვანათ მათი არმია, ამავდროულად შარლ დე გოლის ბრძანებით ნატოს შტაბ ბინა რომელიც, პარიზში იყო გაუქმდა და ბრიუსელში გადაინაცვლა, რომელიც დღემდე მანდ ფუნქციონირებს. ამის საპირისპიროდ საფრანგეთი შეეცადა ურთიერთობები დაეღაგებინა საბჭოთა კავშირთან მაგრამ იქიდანაც არაფერი გამოვიდა, ამის მიუხედავად საფრანგეთმა თავისი ატომური ბომბი მაინც შექმნა. საფრანგეთი ნატოს სრულუფლებიან წევრად 2009 წელს დაუბრუნდა.

1968 წელს საბჭოელებმა მოახდინეს ჩეხოსლოვაკიის ინტერვენცია, ეს ქვეყანა ისევე როგორც უნგრეთი არასდროს ნებდებოდა და არ ემორჩილებოდა კომუნიზმს. 60-იანი წლებიდან ჩეხოსლოვაკიაში მიმდინარეობდა ლიბერალიზაცია, სიტყვის თავისუფლება ბრუნდებოდა. ასეთი ქმედებები კი საბჭოელებისთვის ხიფათს წარმოადგენდა, რისთვისაც გადაწყვიტეს მოეხდინათ ინტერვენცია, ამ ყველაფერს კი ნატო უმოქმედოთ უყურებდა და არაფერს აკეთებდა. ბრეჟნევის განცხადებით კი ერთხელ კომუნისტი მუდამ კომუნისტი იქნებოდა და ამიტომ საბჭოთა კავშირის კლანჭებიდან თავს ვერავინ დაიხსნიდა.

დასავლეთში კი ამ მოვლენების შემხედვარე სახელმწიფოებს იმედიც კი გადაეწურათ, იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირს ოდესმე ბოლო მოეღებოდა, ამიტომ გადაწყვიტეს

მასთან დიპლომატიური მოლაპარაკებები ეწარმოებინათ. ეს გახლდათ დასავლეთ გერმანიის ახალი ხელისუფლება მათ სურადათ მშვიდობიანად მოეგვარებინათ თავიანთი და აღმოსავლეთ გერმანიის ურთიერთობები. ამ მიზნით კი გაიმართა კონფერენცია, რომლის შედეგი უნდა ყოფილიყო ურთიერთობების დალაგება ნატოსა და საბჭოთა კავშირს შორის. კონფერენცია გაიმართა ქალაქ ჰელსინკში, რომელსაც საბჭოთა კავშირი მთლიანდ მხარს უჭერდა იმ იმედით, რომ ეს მოვლენა ნატოს, როგორც სამხედრო ორგანიზაციას უკან ჩამოიტოვებდა და აქცევდა როგორც მეორეხარისოხვან ორგანიზაციად.

1975 წელს მიღებული ჰელსინკის აქტის თანახმად ევროპაში არსებული ტერიტორიები ხელშეუხლებლად გამოცხადდა. ეს კი ხელს უწყობდა საბჭოთა კავშირს და ჩუმი განზრახვაც სურვილიც ზუსტად ეს გახლდათ საბჭოთა კავშირისა, რომ ევროპაში მათ მიერ მოპოვებული და დაპყრობილი ტერიტორიები გამხდარიყო ოფიციალური. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ჰელსინკის პაქტმა სახლემწიფოებს ადამიანის უფლებების დაცვა დაავალდებულა, ეს ყველაფერი საბჭოთა კავშირისთვის საიამოვნო ნამდვილად არ გახლდათ, მაგრამ ისინი იმდენად ძლიერად გამოიყურებოდნენ რომ, ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა არ მიანიჭეს. ყველაფერი ცუდთან ერთად ის ფაქტიც აღსანიშნავია, რომ 1970 -იანი წლების დასაწყისში ნავთობი გაძვირდა რაც ევროპის სახლემწიფოებისთვის ეკონომიკური დარტყმა გახლდათ, ხოლო საბჭოთა კავშირისთვის კი პირიქით ამით ისინი გამდიდრდნენ. არც ამერიკა იმყოფებოდა სახარბიელო მდგომარეობაში, უკანსაკნელი მოვლენებიდან გამომდინარე, რაც ვიეტნამში მოხდა ამ ყველაფერმა ამერიკას დიდი ეკონომიკური და სამხედრო ზიანი მიაყენა. ამ ყველაფრის ფონზე გაისმის მეტად მნიშვნელოვანი კითხვა, ხოარ დამარცხდა ცივ ომში ნატო ? უმეტეს შემთხვევაში კი ჰელსინკის პაქტის შედეგად დასავლეთი შეეგუა საბჭოთა კომუნიზმის არსებობას და ამას წინ ვერ აღუდგებოდა.

მშვიდობის დმაყარების მიზნით ნატო კვლავ აგრძელებდა თავიანთ მისიებს, 1976 წელს განიხილეს და დაგეგმეს საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებები ბირთული

იარაღის წამროების შემცირების შესახებ. ამ ყველაფრის ფონზე ნატოს წევრი სახლემწიფოები გრძნობდნენ და იცოდნენ, რომ საბჭოთა კავშირი და მისი პარტნიორი სახლემწიფოები სადაც კომუნისტური და ტოტალიტარული რეჟიმი იყო გამეფებული არ იყვნენ მზად წამოსულიყვნენ დათმობაზე და ქვეყანაში განეხორციელებინათ და გაეტარებინათ დემოკრატია. ამიტომაც აღმოსავლეთთან მოლაპარაკებების პარარელურ რეჟიმში აუცილებელი გახლდათ განევითარებინათ და გაეძლიერებინათ ნატოს სამხედრო შესაძლებლობა. 1979 წელს მათ მნიშვნელოვანი ე.წ. „ორმაგი გადაწყვეტილება“ მიიღეს ბირთული იარაღის განალხებაზე და მის გაკონტროლებაზე. გადაწყვეტილება იქნა მიღებული ქალაქ ბრიუსელში ჩატარებული სხდომის შედეგად. ამის შედეგად ევროპაში იქნა განლაგებული სარაკეტო სისტემები, რითც გაძლიერადა ევროპაში სამხედრო პოტენციალი.

ნატოს მოღვაწეობა 80-იან წლებში დაიწყო მისი გაფართოებით, როდესაც მათ 1982 წელს ალიანსის წევრად გახადეს ესპანეთი. ნატომ სესიაზე მიიღო დეკლარაცია, სადაც ცხადად ჩანს ის ფაქტი, რომ იგი პოლონეთს უჭერს მხარს. ნატოს მიერ ასევე კანონგარეშედ და მიუღებლად გამოცხადდა საბჭოთა ჯარების მიერ ავღანეთთან დაპირისპირება და გაჩაღებული ომი, რომელიც 1979 წელს დაიწყო საბჭოთა ჯარების შესვლით. ამ ყველაფრის მიუეხედავად ნატო და ამერიკა კვლავ განაგრძობდა საერთო ენის გამონახვას საბჭოთა კავშირთან, ამის ცოცხალ მაგალითს წარმოადგენდა ამერიკის ახალი პრეზიდენტის როლანდ რეიგანის ახალი ინიციატივები. რომლის დედა აზრი მდგომარეობდა შემდეგში, საშუალო სიშორის ბირთული იარაღების შემცირება. ამ ინიციატიავს საბოლოოდ 1981 წელს მოყვა შედეგი ჟენევაში სადაც ამერიკამ და საბჭოთა კავშირმა განაახლეს მოლაპარაკებები. ასევე მნიშვნელოვან ფაქტად ითვლება 1983 წელს ნატოს მიერ გადადგმული ნაბიჯები, როდესაც კანადის ქალაქ მოტბელში შეხვედრის დროს ნატოს წევრი სახლემწიფოების მეთაურებმა განაცხადეს, 1400 ბირთული ქობინის ევროპიდან გამოტანის შესახებ.

ნატოს მხრიდან განხორციელებული სამშვიდობო მოლაპარაკებების და ინიციატივების მიუხედავად საბჭოთა კავშირი აგრძელებდა თავის აგრესიულ ჩანაფიქრების რეალობაში მოყვანას. ამის ცოცხალ მაგალითს წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის ქმედებები ავღანეთში, ხოლო 1983 წელს საბჭოთა კავშირმა ჩაიდინა უსაშინლესი ქმედება, როდესაც მათმა რაკეტამ ააფეთქა სამხრეთ კორეული სამოქალაქო ლაინერი, სადაც 269 უდანაშულო ადამიანი იმყოფებოდა და შეეწირა ამ თავდასხმას. იმავე წელს საბჭოთა კავშირი გამოვიდა ჟენევის მოლაპარაკებების პროცესიდან.

სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან, როდესაც საბჭოთა კავშირში დაიწყო ე.წ. „პერესტროიკა“ ანუ გარდაქმნა. რამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა დასავლეთსა და აღმოსავლეთ შორის ურთერთობის გაუმჯობესებაზე და დასავლეთის გამარჯვებაში ცივი ომის პერიოდში. ამ ყველაფერში კი ყველაზე დიდ როლი ითამაშა ჩრდილო ატლანტიკურმა ორგანიზაციამ. 1985 წელს საბჭოთა ხელისუფლების მეთაურად დაინიშნა მიხეილ გორბაჩოვი, რის შემდეგაც მოლაპარაკებები განაახლდა ჟენევაში საბჭოთა კავშირსა და ამერიკას შორის. იმავე წელს რეიგანი და გორბაჩოვი შეთანხმდნენ იმ ფაქტზე რომ ნახევრად შეამცირებდნენ ბირთვული იარაღების წარმოების პროცესს. ასევე მნიშვნელოვან მოვლენად მოგვევლინა 1986 წელს გამართლი სტოკჰოლმის კონფერენცია, სადაც გათალისწინებული უნდა ყოფილიყო ევროპაში ძალის გამოუყენლობა. ასევე ინფორმაციული გაცვლა უნდა მომხდარიყო სახელმწიფოებს შორის სამხედრო ძალის შესახებ. სტოკჰოლმის კონფერენციის შედეგად დაფუძნდა ერთგვარი ტრადიციები: სამხედრო ავიაბაზებზე სტუმრობა, ერთმანეთში იცვლებოდნენ სამხედრო წარმომადგენლები, სამხედრო კვლევებში მონაწილე მეცნიერების ერთმანეთში გაცვლა. სტოკჰოლმის კონფერენციის შემდეგ 1987 წელს უკვე შესაძლებელი გახლდათ ამერიკა დასწრებოდა სამხედრო წვრთნებს მინსკში, ამავდროულად კი საბჭოთა კავშირს მიეცა შესაძლებლობა დასწრებოდა ნატოს სამხედრო ძალების წვრთნებს თურქეთის მიმდებარე ტერიტორიაზე. ამ ყველაფრის მიუხედავად ნატოსა და ვარშავის პაქტის ლიდერ სახელმწიფოებს შორის მიმდინარეობდა დიპლომატიური

მოლაპარაკებები, ამის ერთ ერთ მაგალითს წარმოადგენდა 1986 წელს გამართული რეკიავიკის კონფერენცია. სადაც გორბაჩვი ვერც კი მალავდა იმ ფაქტს, რომ ამერიკას და ნატოს წევრ სახელმწიფოებს დიდი უპირატესობა ჰქონდა მოპოვებული საბჭოთა კავშირზე. ამ ყველაფრის ფონზე საბჭოთა კავშირი პრეტენზიას გამოხატავდა ჯერ კიდევ 1983 წელს შემუშვებული გეგმის გამო, რომლის მიზანს წარმოადგენდა იმ საშიშროების განადგურებას, რომელსაც ბირთული რაკეტები წარმოადგენდნენ. ამის ფონზე, როდესაც საბჭოთა კავშირს ძვირი უჯდებოდა ავღანეთში სამხედრო მოქმედებების წარმოება, ასევე მესამე სამყაროს მყოფი ქვეყნებისთვის ფინსანურის დახმარების გაწევა არ შეეძლო განეხორციელებინა მსგავსი პროგრამა. გარდა ყველაფრისა ამერიკის შეერთებულ შტატების ეროვნული შიდა პროდუქტი ორჯერ უფრო დიდ იყო ვიდრე საბჭოთა კავშირისა, ამ ყველაფრის შემხედვარემ საბჭოთა ლიდერმა მიხეილ გორბაჩვმა ყველაფერი ნათლად დაინახა და გაანალიზა, ამის ფონზე კი მან 1987 წელს განაახლა მოლაპარაკებები ამერიკასთან ევროპაში იარაღის შემცირებასთან დაკავშირებით. იმავე პერიოდში მიხეილ გორბაჩოვმა განაცხადა ბირთული იარაღების განადგურებასთან დაკავშირებით რაც კი აზიურ სახელმწიფოებში იყო განთვსებული.

ნატოს ისტორიაში და ცივი ომის დასრულებაში დიდი როლი ითამაშა და გავლენა მოახდინა 1987 წელს გამართულმა დიპლომატიურმა მოლაპარაკებებმა ამერიკასა და საბჭოთა კავშირს შორის, რომლის დროსაც ხელი იქნა მოწერილი რამოდენიმე მნიშვნელოვან დოკუმენტზე, მათ შორის, შორს მანძლზე არსებული ბირთული სარაკეტო სისტემების შესახებ, რომლის არსი იყო ამ სარაკეტო სისტემების განადგურება. ასევე ხელი მოეწერა იმ შეთანხმებას, რომ ორივე სახელმწიფო ერთმანეთში გაუწევდა კონტროლს ბირთული იარაღების საცდელ ვარიანტად გამოყენების პერიოდში. ასევე ორივე ქვეყნის ლიდერმა საკუთარ თავზე აიღეს მისია იმის შესახებ, რომ შეემცირებინათ საგრძნობლად შეიარაღებები.

ამ ყველაფრის ფონზე რაც კი დადებითი სიტუაციები განვითარადა, ნატოს მხრიდანაც საპასუხო რეაქციები და გამოხმაურება მოჰყვა. 1998 წელს მადრიდში გამართულ კონფერენციაზე საგარეო საქმეთა მინისტრებმა ნათლად დაინახეს აღმოსავლეთ და დასავლეთ სახელმწიფოებს შორის განვითარების პერსპექტივები, ამავდროულად ცნეს ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირმა შეამცირა სამხედრო შეიარაღებები.

უკვე მომდევნო წლებში კი ნატოს მხრიდან მსოფლიოში მშვიდობის დამყარების კუთხით უარმაგი პროცესები წარიმართა რაზეც შემდეგ თავებში ვისაუბრებ.

თავი 2. ნატოს გაფართოების პოლიტიკა ცივი ომის შემდგომ და არსებული საფრთხეები

2.1 ნატოს ტრანსფორმაცია ცივი ომის დასრულების შემდგომ

კომუნისტური რეჟიმის დაშლის შემდეგ 90 იან წლების დასაწყისში შეიქმნა სრულიად ახალი რეალობა მსოფლიოში. უკვე აღნიშნულმა ფაქტმა შექმნა იმის მყარი საფუძელი, რომ მომხდარიყო ნატოს ტრანსფორმაცია. ცივი ომის დასრულებისას ნატოს ძირითად მიზანს და ვალადებულებას წარმოადგენდა მშვიდობა და თანამშრომლობა განეხორციელებინა აღმოსავლეთთან. ამის გათალისწინებით ორგანიზაციის ერთ-ერთ უმთვრეს მიზანს წარმოადგენდა ევროპაში უსაფრთხოების გარნტიების შექმნა, რომლის მთავარი დასაყრდენი საშუალება უნდა ყოფილიყო ევროპული ღირებულობები და ფასეულობები. ასევე ჩრდილო ატლანტიკური ორგანიზაციის წინაშე დადგა ისეთი მისიების შესრულება, როგორებიც არის : კრიზისული სიტუაციების მართვა, ჰუმანიტარული დახმარებების გაწევა სახელმწიფოებისთვის, სამშვიდობო ოპერაციების წარმართვა ცხელ წერტილებში და უამრავი სხვა.

ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ნატოს შექმნის დღიდან, რომლის მიზანს წარმოადგენა საბჭოთა კავშირის რეჟიმის შეკავება და მისი განმუხტვა, მისი ტრანსფორმაცია დაკავშირებული იყო გარკვეულ დაბრკოლებებთან. პირველ რიგში კი ამას წარმოადგენდა ის მოთხოვნა რასაც ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაცია განიხილავდა, ყოფილ მოწინააღმდეგე სახელმწიფოსთან პარტნიორობის შესახებ.

1989 წლიდან ცივი ომი მიუახლოვდა თავის დასასრულს. აღმოსავლეთ გერმანიამ, პოლონეთმა, ბულგარეთმა და ჩეხოსლოვაკიამ ოფიციალურად განცხადეს შეიარაღების შემცირების შესახებ, რასაც დადებითად შეხვდა ნატო. ასევე მეტად საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ამ წელს საბჭოთა კავშირმა საბოლოოდ გამოიყვანა თავისი არმია ავღანეთის ტერიტორებიდან. ამის ფონზე ვენაში გაიმართა ევროთათბირი სადაც ნატოში გაწევრიანებული სახელმწიფოს მეთურებმა და ვარშავის ხელშეკრულებაში მყოფი სახელმწიფოების მეთურებმა ევროპაში სიმშვიდდის შესანარჩუნებლად შეამცირეს თავიანთი შეიარაღებები. ამის შემდეგ ამერიკის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ინიციატივით გამოვიდა ღია საჰაერო სივრცის არსებობასთან დაკავშირებით. ამ რეჟიმის იდეა მდგომარეობდა შემდგომში, რომ ნატოს წევრ სახელმწიფოებს და ვარშავის ხელშეკრულებაში მყოფ სახელმწიფოებს ნებართვით გამოეყენებინათ ერთმანეთის საჰაერო სივრცეები.

1989 წელს მოხდა ერთ-ერთი მთვარი მნიშვნელოვანი მოვლენა, დაიწყო ცივი ომის სიმბოლოს ბერლინის კედლის დანგრევა.

ევროპაში თანამშრომლობის განმტკიცების მიზნით ამერიკამ კიდევ მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. 1990 წლიდან ქვეყნის მინისტრებმა აქტიურად დაიწყეს მუშაობა ნატოში თავდაცვითი სტრუქტურის შეცვლასთან დაკავშირებით.

ნატოს მხრიდან ურთერთობის დათბობის და განმტკიცების მიზნით საბჭოთა კავშირთან და აღმოსავლეთთან, მაგალითს წარმოადგენენ 1990 წელს გამართულ ლონდონის სამიტს, სადაც განხილულ იქნა ევროპის თავდაცვის სისტემის ძირითადი

მნიშვნელობები, რომელიც აღმოსავლეთსა და დასავლეთს დაპირისპირების მაგივრად დააკავშირებდა და სამომავლოდ ათანამშრომლებდა ერთმანეთთან.

სამიტზე საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ქვეყნების ლიდერებმა გამოთქვეს სურვილი, რომ ნატოსთან პარტნიორული თანამშრომლობა წამოეწყოთ. ამავე დროს არ უდნა დაგვაფიქედეს ის ფაქტი, რომ ერთი თვით ადრე შოტლანდიაში იქნა მიღებული დეკლარაცია სადაც ნატო და დასავლეთ სახელმწიფოები საბჭოთა კავშირს და აღმოსავლეთის ქვეყნებს სთვაზობდნენ პარტნიორობას და დიპლომატიურ კავშირს.

ამ ყველაფრის ფონზე, უკვე ლონდონის სამიტზე ყველაფერი შეთანხმებული გახლდათ და ნატოს წევრს სახელმწიფოებს და ვარაშვის ხელშეკრულებაში მყოფ სახელმწიფოებს ერთნიშნად უნდა განეცხადებინათ ის ფაქტი, რომ ამიერიდან აღარ იქნებოდნენ მოწინააღმდეგე სახელმწიფოები და განიხილებოდნენ როგორც პარტნიორები და არ გადადგამდნენ ისეთ საშინელ ნაბიჯებს, რომელიც დაარღვევდა საერთაშორისო სამართლის უფლებებს. სამიტის დასრულებიდან ერთ თვეში საბჭოთა კავშირს ნატოს გენერალური მდივანი მანფრედ ვიორნერი ესტუმრა, რომელმაც შემდეგში მოლაპარაკებები გამართა საბჭოთა ხელისუფლებასთან.

ლონდონის სამიტიზე მიღებული პაქტის ერთ ერთ მნიშვნელოვან შედეგს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ რეალურად დაიწყო მოლაპარაკებები გერმანიის გაერთიანებასთან დაკავშირებით, რომლის შედეგადაც ხელი მოეწერა დოკუმენტს, სადაც გერმანიის გაერთიანებზე იყო საუბარი, რაც შემდეგში 1990 წელს იქცა რეალობად და გაერთიანებული გერმანია გახდა ნატოს სრულფასოვანი წევრი.

ცივი ომის დასკვინთ ეტაპზე მეორე უდიდეს ისტორულ მოვლევანს წარმოადგენდა სამიტი პარიზში, სადაც ნატოსადა ვარაშვის სახელმწიფოებს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის თანახმადაც ევროპაში ისინი წარმოდგენილი იქნებოდნენ ჩეულებრივი შეიარაღებული ძალებით და ასევე თავდაუმსხმელობის ფუნქციით იქნებოდნენ ვალდებულნი. შემდეგ კი გამოაქვეყნეს პარიზის ქარტია.

90 -იან წლებში ჩამოყალიბებული ახალი რეალობის და ნატოს გაფართოების შედეგად წარმოქმნილა ფაქტორმა 199 წელს ნატოს 50 -ე იუბილეს ვაშინგტონში იქნა მიღებული ახალი კონცეფცია, რომლის თანახმადაც ნატოს წევრმა სახელმწიფოებმა ცივი ომის პერიოდში ყველაფერს კარგად გაართვეს თავი და შეიანრჩუნეს ევროპაში დემოკრატიულობა. ასევე ნატოს მიერ წარმოებული სწორი პოლიტიკის შედეგიდან მსოფლიომ მესამე მსოფლიო ომი აიცილა თავიდა.

1999 წელს ვაშინგტონში გამართულ სამიტზე ნატოს სახელმწიფო მეთაურებმა და მთვრობის წარმომადგენლებამ დაადასტურეს, რომ ორგანიზაციის მიერ მიღებული ახალი კონცეფცია წარმოადგენს ახალ გზას, რომელიც ნატოს შემდეგში ექნება გასავლელი. ასევე ყურადღება არის გამახვილებული იმ ფაქტზე, რომ ორგანიზაციის შექმნის დღიდან ალიანსი მოქმედებს მის პრინციპებით და სამართლიანობით ევროპაში და შემდეგშიც ამ გზით და მიმართულებით აპრიებს გაგრძელებას. ალიანსის ძირითდი პრინციპებიდან გამომდინარე, აქ მყოფი სახელმწიფოები არ არიან ვალდებული მხოლოდ საკუთარ ძალას დაეყრდნონ და გაუწიონ წინააღმდეგობა მომავალ საფრთხეებს, ეს გახლავთ კოლექტიური ორგანიზაცია სადაც ყველა თანაბრად იღებს ვალდებულებას და ეს სამართლიანობა შემდეგში ქმნის სტაბილურობას, როგორც შიგნით ასევე მის გარეთაც. ასევე ნატო ამყარებს ურთერთთანამშრომლობას ისეთ სახელმწიფოებთანაც, რომლებიც იზიარებენ ამ ორგანიზაციის ფასეულობებს და პრინციპებს⁴.

ამ ახალი სტრატეგიის თანახმად ნატოს მიზანს და ამოცანებს წარმოადგენს პირველ რიგში მისი წევრი სახელმწიფოების თავისუფლების დაცვა, ამ კუთხით ალიანსი ეყრდნობა იმ ძირითად ღირებულებებს, რომელიც დაკაშირებულია ადამიანის უფლებათა თავცვის შესახებ. ასევე ალიანსისთვის მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს იმ სახელმწიფოების უსაფრთხოების უზრუნველყოფას, როლებიც ჯერ არ არიან ნატოს

⁴ კოვანი,ი „ოთხმრივი ურთიერთობები:რუსეთი/ევროკავშირი/ნატო/ამერიკა-საქართველო“.თბილისი.2013 წელი. გვ 69-72

წვერი სახელმწიფოები, ამგრმა იზიარებენ და ეთანხმებიან ნატოს პრინციპებს და ღირებულებებს.

დოკუმენტში ცხადად არის წარმოდგენილი ის ფაქტი, რომ ორგანიზაცია ნატო არ გვევლინება როგორც ვინემს მოწინააღმდეგე, არამედ ის ყველანრიად ცდილობს მსოფლიოში მშვიდობის და დემოკრატიის გმატარებელ ორგანიზაციად იქცეს.

კონცეფციის მეორე ნაწილი წარმოადგენს ნატოს სტრატეგიულ განვითარებს და პერსპექტივებს, დღევანდელი რეალური სიტუაციიდ გამომდინარე რაც მსოფლიოში ხდება ცოტა ფორსმაჟორულ სიტუაციაში უწევს ორგანიზაციას მუშაობა რაც ხშირად ქმნის დაბრკოლებებს, მაგრამ ამისდა მიუხედავად ნატო ცდილობს დაასტაბილუროს სიტუაციები, ის ასევე მიესალმება ევროპაში ბირთვული იარაღების შეზღუდვას, ქიმიური იარაღების დაბლოკვას და ქვეითსაწინააღმდეგო ბომბების გაუქმებას.

კონცეფციაში ასევე განხილულია ნატოს მზადყოფნა, რომ ეს ორგანიზაცია მაქსიმალურად ეცდება თვისი ძალა მოახმაროს თვისუფალი და სატაბილური ევროპის მშენებლობას, რაც ნატოს სამშვიდობო მისებში ჰუმანიტარულ დახმარებებში და სხვა მრავალ მოქედებებში არის განსაზღვრული.

აღმოსავლეთ და დასავლეთ სახელმწიფოებს შორის კონფლიქტის ჩახშობის და ურთერთობის დათბობის ფონზე, წარმოიშვა ახალი დიდ პრობლემა ჩრდილო ატლანტიკური ორგანიზაციისთვის, სადაც ისტორიაში პირველად ნატოში გაწევრიანებული ქვეყნები შეიძლება ჩაბმულიყვნენ ამ კონფლიქტში. ეს მოვლენა დაკავშრებული იყო სპარსეთის ყურეში მიმიდნარე დამაბულ სიტუაციაზე, როდესაც 1990 წელს ერაყის შეიარაღებული ძალები შეირჭრნენ ქუვეითის სუვერენულ ტერიტორიაზე და მოახდინეს ამ ქვეყნის დაპყრობა. ამ მოვლენების მიმიდინარეობისას ერთობ მნიშვნელვოან ფაქტს წარმოადგენდა ის მოვლენა, რომ საბჭოთა კავშირმა სრული მხარდაჭერა გამოუცხადა ნატოს, და მხარს უჭერდა იმ ფაქტს, რომ სანქციები უნდა დაწესებოდა ერაყს და მოეხდინათ ქუვეითის განთავისუფლება მისგან.

მას შემდეგ რაც ერაყმა იუარა ქუვეითის ტერიტორიიდა თავიანთი არმიის გამოყვანის შესახებ, ევროპაში შექმენს ანტიერაყული კოალიცია , რომელსაც აქტიურად მეთურობდნენ ნატოს წევრი სახელმწიფოები მათ შორის კი ამერიკაც, მართალია ეს კოალიცია არ მოქმედებდა ნატოს სახელით, მაგრამ უდიდესი გავლენა და როლი სწორედ ნატოს წევრმა სახელმწიფოებამ შეიტანეს. 1991 წლის ზამთარში მოახდინა კოალიციმა პირველი თვდასხმა ერაყზე, საბოლოოდ კი იმავე წლის გაზაფხულზე მოხდა ქუვეითის განთვისუფლება ერაყისგან, რაშიც დიდი როლი კვლავ ნატოს წევრმა სახელმწიფოებამ ითამაშეს.

მეტად მნიშვნელოვანი შეხვედრა გაიმართა 1991 წლის ზაფხულში კოპენჰაგენში ნატოს წევრს სახელმწიფო მეთაურებს შორის სადაც განხილული იყო კვლავ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთერთთანამშრომლობის შესახებ. ამ სამიტზე გაკეთდა განცხადება სადაც აღნიშნული იყო ის ფაქტი, რომ დიდი ხნის ბრძოლის შედეგად დასრულებული იყო ევროპის გაერთიანების ბრძოლა და ნატო მზად იყო ეწარმოებინა თანამშრომლობა საბჭოელებთან, თუ ისინი რათქმაუნდა ლონდონის სამიტის საფუძელზე თანახმანი იყვნენ გაეგრძელებინათ ურთიერთთანამშრომლობა ნატოსთან და დასავლეთ სახელმწიფოებთან. ამრიგად აღმოსავლეთ და დასავლეთ სახელმწიფოებს შორის იწყებოდა მეტად მნიშვნელოვანი ახალი ეტაპი მათ ურთიერთობაში კერძოდ კი უნდა მომხდარიყო შემდეგი რამ:

- უნდა მომხდარიყო ნატოს სამხედრო ხელმძღვანელებსა და აღმოსავლეთ სახელმწიფოების მეთრეუბს შორის ურთერთობის გაღრმავება, რაც შემდეგ შეიძლება განხორციელებულიყო ქალქ ბრიუსელში ნატოს შტაბ-ბინაში ან ნატოს სხვა სამეთაურო დაწესებულებებში. ასევე მოწვეულ იქნებოდნენ საბჭოეთიდან და აკმოსავლეთიდან სამხედრო სპეციალისტები, ამ მიზნის განსახორციელებლად კი საჭირო იყო ახალი პროგრამის შემუშავება.
- აუციულოებელი გახლდათ ორივე მხრიდან ოფიციალურ იწარმომადგენლობების შეხვედრა და აზრთ ურთერთგაცვლის მოხდენა

უსაფლთხოების გარანტიის ფარგლებში.ამ მხრივ უდიდეს მნიშვნელობა ენიჭებოდა ისეთ საკითხებს,როგორც იყო სამხედრო სტარტეგიების გაანალიზება, შეიარაღებაზე კონტროლი და უამრავი სხვა საკითხი.

- ნატოს და აწმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებს შორის საერთო საემცნიერო პროგრამებში მონაწილეობის მიღება და მათი განხორციელება.
- ნატოს შტაბ-ბინაში, აღმოსავლეთ ცენტრალუ ევროპიდან და საბჭოთა კავშირიდან მიწვეულნი იქნებოდნენ ექსპერტები ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომდგენლები ჟურნალისტები , რომლის მთავარი მიზანი იქნებოდა ნატოში ჩატარებულიყო სემინარები კონფერენციები უსაფლთხოებასთან და პარტნიორბასთან დაკავშირებით.
- ნატოს საპარლამენტო ასამბლეის და ცენტრალუ და აღმოსავლეთ ევროპის პარლამენტებს შორის ურთობის გმაცარება და თანამშლობა.

1991 წლის შემოდგომაზე გაიმართა კიდევ ერთი სამიტი ქალქ რომში, სადაც მიღებული იქნა ნატოს ახალნი კონცეფცია, თნ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ეს სამიტი გაიმართა საბჭოთა კავშირის დაშლამდე ერთი თვით ადრე, ამ სამიტში რათქმაუნდა საბჭოთა კავშირის საკითხები იყო განხილული. ამ პერიოდში კი საბჭოთა კავშირს არ ედგა კრგი დღე რადგანაც, 3-მ სახელმწიფოს ლიტვა, ლატვია და ესტონეთს უკვე ჰქონდათ მოპოვებული დამოუკიდებლობა.

ნატომ რომის სამიტზე ყურადღება გამხვილა საბჭოთა კავშირის განიარაღბასთან დაკავშირებით, რადგანაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შეიძლება საფრთხე წარმოშობილიყო. ამიტომ ნატომ საჭოთა კავშირს მოსთოვა იმ ვალდებულებების პირნათლად შესრულება რაც მათ ამ ურთერტობის და პარტნიორობის განამვლობაში ეკისრათ.პარტნიორ სახელწმიფოებს და ნატოს შორის იგეგმებოდ ახალი საკითხის განხვილვა როგროებიც იყო:

- მინისტრთა დონეზე ნატოსა და პარტნიორ ქვეყნებთა მინისტრების შეხვედრები ,რომლის სახელიც პირობითად განისაზღრა დეკალრაციაში როგორც ნაქსი.

- ელჩების დონეზე შეხვედრები ნატოსა და პარტნიორ სახელმწიფოებს შორის
- ხშირი შეხვედრები ნატოს მიერ პარტნიორ სახელმწიფოებთან პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური და უამრავი სხვა კომიტეტების ირგვლივ.

ამ შედეგების შემდეგ 1991 ზამთარში ქალქ ბრიუსელში ნაქსის ფორმატით, სადაც გაიმართ ნატოსა და მის ახალ პარტნიორ სახელმწიფოებს შორის შეხვედრა ოფიციალურად საბჭოთა კავშირიც იქნა მიწვეული.

ნაქსის შეხვედრი შემდეგ, ახალი შხვედრა 1992 წელს გაიმართა სადაც ნატოს წევრი სახელმწიფოების გარდა კიდევ ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოები და ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრი სახელმწიფოები იღებდნენ მონაწილეობას. ამ სამიტზე განხილული თემა სრულიად განსხვავდებოდა რომის სამიტზე მიღებულ დოკუმენტაციაზე რომელიც ახლო აღმოსავლეთსა და საბჭოთა კავშირს ეხებოდა. განცხადებების განსხვავებულობა აიხსნებოდა იმ ფაქტით, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოლდოვაზე კავკასიასა და ბალკანეთში მიმდინარეობდა ეთნიკური დაპირისპირებები. ასევე ნატოს უდიდეს შემფოთებას იწვევდა ის ფაქტიც, რომ რუსეთსა და უკრაინას შორის არსებობდა დაძვული სიტუაცია ყირიმის ტერიტორიასთან დაკავშირებით.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ნატოს მთვარ პრიორიტეტად იქცა იმ ბირთვული იარაღების განიტრალეზა და გა განდგურეზა რომელსაც ყოფილი საბჭოთა ქვეყნები ფლობდნენ უკრაინა ყზახეთი და ბელორუსია. ყველაზე შემაშფოთებელი და დიდ თავის ტკივილი ალაბთ გახლდათ უკრაინის პოზიცია, რომელსაც რუსეთთნ დაძაბული ურთერთობის ფონზე არ აპრიებდა ბირთული იარაღის დათმობას და ის ცდილობა ეს ბერკეტად გამოეყენებინა მათ წინააღმდეგ.

როგორც უკვე ვიცით და ცნობილია ცივი ომის დასრულების შემდეგ, მოწინააღმდეგე სახელმწიფოებს შორის დაიწყო ურთიერთობის დალაგების პროცესი, ამ მოვლენის ფონზე უნდა გამოვყოთ ის ფაქტიც, რომ ევროპის ზოგიერთ ნაწილში თავი

არასტაბილურობამ იჩინა. ამ ერთ-ერთ მიზეზს უკვე ზემოთ ხსენებული ეთნიკური კონფლიქტი წარმოადგენდა. ამ მოვლენის ფონზე ნატომ ახალი გეგმა შეიმუშავა კონკრეტულად კიდევ უფრო გაელრმავებინათ ურთიერთობები სახელმწიფოებთან, რადგან ნატოს წევრობა მათ შეუქმნიდა უსაფრთხოებას. ახალმა რეალობამ ნატოს მოქმედებების სტრუქტურა და მანერა შეაცვლევინა. აღმოსავლეთთან ურთიერთობის დასტაბილურების პარალელურად ნატოს ახალი პრობლემები შეექმნა, რომელიც დაკავშირებული იყო ბალკანეთში მიმდინარე პროცესებთან, რომლის მოგვარების საკითხი ნატოს უნდა ეკისრა. ამ მიზნით 1992 წელს ქალაქ ოსლოში გაიმართა თათბირი, სადაც ნატოს წევრმა სახელმწიფოებმა დაადასტურეს მზადყოფნა სამშვიდობო მისიების ჩატარებასთან დაკავშირებით.

იმ დროს უკვე მსოფლიოში შექმნილი მოვლენების ფონზე, სადაც ნატოს ავტორიტეტი საგრძნობლად გაიზარდა და პარალელურად იუგოსლავიაში დამაბული ვითარება იყო ამას ისიც ემატებოდა, რომ არც გაეროს და არც ევროპას არ შესწევდა იმის ძალა, რომ გამკლავებოდა ამ პრობლემებს, ამიტომ გაეროს გენერალურმა მდივანმა დახმარების სათხოვნელად ნატოს გენერალურ მდივანს მიმართა. ეს თხოვნა ითვალისწინებდა ბოსნია-ჰერცეგოვინაში საჰაერო სივრცეში ამკრძალავი ზონების შექმნას. 1993 წელს კი ნატომ დაიწყო გაეროს რეზოლუციის განხორციელება, როდესაც მზადყოფნაში მოიყვანა თავისი სამხედრო თვითმფრინავები და ავიაბომბდამშენები. ეს პერიოდი გახლდათ ნატოსთვის რთული გამოცდის პერიოდი, რადგანაც მისი არსებობის მანძილზე პირველად მოუწევდათ ჩაბმულიყვნენ სამხედრო სამშვიდობო ოპერაციაში, რასაც საბოლოოდ ნატომ მშვენივრად გაართვა თავი, ჯერ ბოსნიაში 1995 წელს, შემდეგ კი კოსოვოში 1999 წელს.

1994 წელს ზამთარში გამართული სამიტი ბრიუსელში, ექსპერტების აზრით ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამიტი გახლდათ, ვინაიდან და რადგანაც ამ სამიტზე მიღებულ იქნა ახალი ინიციატივა „პარტნიორობა მშვიდობისთვის“.

ეს დოკუმენტი ითვალისწინებდა ნატოს წევრ სახელმწიფოებსა და ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის ურთიერთობის ახალ ეტაპზე და დონეზე აყვანას.

ამ პროგრამაში ჩართვა და მონაწილეობის მიღება უკვე შეეძლოთ, როგორც ყოფილ საბჭოურ სახელმწიფოებს, ასევე ევროპის იმ სახელმწიფოებსაც, რომლებიც იღებდნენ ნეიტრალიტეტს. პროგრამაში ჩართვისას კი სახელმწიფოები ნატოსთან აფორმებდნენ განცხადებას, სადაც უნდა ყოფილიყო ორმხრივი ურთიერთობების გეგმა ჩამოყალიბებული პარტნიორობა მშვიდობისთვის. პროგრამის დროს ასევე დიდი ყურადღება ენიჭებოდა იმ მნიშვნელოვან ფაქტებსაც, თუ როგორი მომზადებული გახლდათ სახელმწიფოები. შეიძლება ითქვას, რომ ნატოში გაწევრიანება დამოკიდებული იყო, იმაზე თუ როგორ განვითარდებოდა სახელმწიფოები და შემდეგში დაეკმაყოფილებინათ ნატოს სტანდარტები, როგორც პოლიტიკური, ისევე ეკონომიკური და სამხედრო სფეროში.

1997 წელს მადრიდის სამიტზე ნატოს ხელმძღვანელობამ მიიპატიჟეს უნგრეთი, ჩეხეთი და პოლონეთი მოლაპარაკებების დასაწყებად, რათა მომავალში ეს სახელმწიფოები გამხდარიყვნენ ნატოს სრულფასოვანი წევრები.

სამიტამდე გარკვეული დროით ადრე მიმდინარეობდა მუშაობა იმაზე თუ რა უნდა განეხორციელებინათ ნატოს სრულფასოვანი წევრები.

- აღმოსავლეთ ევროპიდან რამდენიმე სახელმწიფოს მოწვევა, იმ მიზნით, რომ მათთან დაწყებულიყო მოლაპარაკებები ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით.
- თანამშრომლობის ახალ ეტაპზე აყვანა და გაუმჯობესება პარტნიორ ქვეყნებთან და ამ კუთხით ევროპის საბჭოს შექმნა.
- რუსეთის სახელმწიფოსთან პარტნიორული ურთიერთობის ახალ ეტაპზე აყვანა და ორმხრივი ურთიერთობების მექანიზმის შექმნა.
- ევროპაში არსებული კრიზისების მოგვარებისთვის მეთოდოლოგიების შექმნა.

კიდევ ერთი უმნიშვნელოვანეს სამიტ ნატოსთვის და არა მარტო მისთვის წარმოადგენდა 1999 წელს ვაშინგტონის სამიტი.

ეს სამიტი რიგით მეთხუთმეტე სამიტი იყო ნატოს ისტორიაში და რა თქმა უნდა უაღრესად მნიშვნელოვანად, რადგან რეალურად ამ სამიტიდან დაიწყო ნატოს ღია კარის პოლიტიკის განხორციელება. ამ სამიტზე ნატომ თავის ახალ წევრებად მიიღო პოლონეთი, უნგრეთი და ჩეხეთი. საერთო ჯამში სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებებით შეიძლება ითქვას, რომ ნატო გადავიდა ახალ ეტაპზე, კონკრეტულად კი სამიტზე.

- ნატოს განახლებული კონცეფცია მოიწონეს
- საბოლოოდ დასრულდა ჩეხეთი, პოლონეთის და უნგრეთის მიღება
- ოფიციალურად დადასტურდა ნატოს სურდა შემდეგი გაფართოებას

მზადყოფნა, ხოლო ვისაც ნატოში სურდა გაწევრიანება მათთვის მიიღეს „გაწევრიანების სამოქმედო გეგმა“ ე.წ MAP

- შეიქმნა „თავდაცვითი საშუალებათა ინიციატივა“ DCI
- ყურადღება მიექცა პარტნიორ ქვეყნებთან ურთიერთობის შემდგომ მათი გაფართოების პერსპექტივით.
- ასევე გადაწყდა ბირთვული იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ებრძოლათ.

2001 წლის 11 სექტემბრის ცნობილი ტერორისტული თავდასხმის შემდეგ ნატო იძულებული გახდა საქმეში ჩაერთო ნატოს წესდების მე-5 მუხლი. ამ წესდების თანახმად ნატოს წევრი სახელმწიფოების ერთხმად აღიარებენ ტერორისტულ საფრთხეს და საჭიროდ თვლიდნენ დაეწყოთ მის წინააღმდეგ ბრძოლა. მეორე დღესვე გაიმართა ნატოს რიგ გარეშე სხდომა სადაც წევრმა სახელმწიფოებმა ეს ჩათვალეს თავდასხმად ყველა სახელმწიფოს მიმართ. ამ მოვლენების შემდეგ არ დააყოვნეს ამერიკის და დიდი ბრიტანეთის სამხედრო დანაყოფებმა და პირველი დარტყმა მიაყენეს ტერორისტებს ავღანეთის ტერიტორიაზე, სადაც მოპოვებული ინფორმაციის

საფუძველზე იმყოფებოდა ოსამა ბინ ლადენი და „ალ ქაიდას“ სხვა ხელმძღვანელებიც, ამერიკელი და დიდი ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების დახმარებით მოხდა ავღანეთში ტერორისტული დაჯგუფების დამარცხება და უფრო პროგრესული ხელისუფლების სათავეში მოყვანა.

ნატოს მიერ ჩატარებულ პრადის სამიტზე და მის შემდგომი პროცესებიდან იწყება უკვე ახალი მნიშვნელოვანი ეტაპები ეს ხდება 2003 წელს, როდესაც ნატოს ძალებმა დაიწყეს მოქმედებები მის საზღვრების გარეთ შუა აზიაში. მოქმედებები ვითარდებოდა ავღანეთში თავდაპირველად კი ქაბულში. ამ მისიის მონაწილე სახელმწიფოები კი ნატოს წევრები გახლდათ. პირველ მისიას დიდი ბრიტანეთი ხელმძღვანელობდა, შემდეგს თურქეთი, მესამეს კი გერმანია და ნიდერლანდები. 2003 წლის შემოდგომაზე ნატოს ოპერაციები გასცდა ქაბულის და მოიცვა მთლიანი ავღანეთის ტერიტორია.

ნატოს სტამბულის სამიტი გაიმართა 2004 წლის გაზაფხულში, ეს გახლდათ რიგით მეზვიდმეტე ოფიციალური სამიტი, სადაც განხილული იქნა ნატოს პოტენციური და მისი შესაძლებლობები სამხედრო ჩარევების შემდეგ ავღანეთსა და ერაყში.

სტამბულის სამიტზე განიხილეს ის ვალდებუებები, რომელიც ჯერ კიდევ პრადის სამიტის დროს მიიღეს.

სტამბულში სამიტზე ნატომ დასახა ახალი სამოქალაქო გეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა სამხედრო შეარაღების გამლიერებას, რათა მომავალში ნატოს წევრი სახელმწიფოებს ჰქონიათ შესაძლებლობა წარემართათ სამშვიდობო მისიები.

ასევე რაც მეტად საინტერესოა, სტამბულის სამიტი გახლდათ პირველი ოფიციალური სამიტი ნატოს ახალი წევრი სახელმწიფოებისთვის ესენი გახლდათ: ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი და სლოვენია, როგორც მოგეხსენებათ ეს სახელმწიფოები ნატოს 2004 წლის მარტში შეუერთდნენ.

2.2 ნატოს გაფართოების თეორია და რუსეთის ფაქტორი

ნატომ რუსეთთან ურთიერთობების დამყარება 90-იან წლებში დაიწყო. რუსეთის მონაწილეობა მეტად მნიშვნელოვანი გახდა უსაფრთხოებისთვის მას მერე, რაც ცივი ომი დასრულდა. 1991 წელს რუსეთი გახდა ნატოს თანამშრომლობის საბჭოს ერთ-ერთი დამფუძნებელი. 1994 წლიდან კი „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ მონაწილე გახდა. ნატოსა და რუსეთს შორის თანამშრომლობით ურთიერთობას რეალური საფუძვლები პარიზში 1997 წელს ჩაეყარა. ამ დროს შეიქმნა ნატო-რუსეთის მუდმივი საბჭო, თუმცა ამ აქტში გამოსაყენებელი მიზნები, ბოლომდე ვერ განხორციელდა. ამავდროულად, ნატოსა და რუსეთს განსხვავებული მოსაზრებები გააჩნდათ რიგ საკითხებზე, მათ შორის კოსოვოს კრიზისზე.

ამ ყველაფრის ფონზე ნატოს გაუჩნდა ახალი საზრუნავი, როგორ უნდა მიეღწია რუსეთთან კონსესუსს ალიანსის გაფართოებასთან დაკავშირებით. ნატოს იმდროინდელი გენერალური მდივანი 1994 წელს ამბობდა, რომ ევროპის წინაშე კვლავ უამრავი პრობლემა არსებობს, ალიანსის მოღვაწეობა და მისი ძირითადი ფუნქციები კი კვლავ უცვლელია. ალიანსი ისევ როგორც ადრე ახლაც წევრი სახელმწიფოების ტერიტორიების და დამოუკიდებლობის დაცვაზე არის ორიენტირებული, ასევე ნატოს ევროპაში უსაფრთხოების და სტაბილურობის ფუნქცია აკისრია. ამ მიზნით შეიქმნა მოგვიანებით ზუსტად „პარტნიორობა მშვიდობისთვის“. პროგრამა კი დღითიდღე ფართოვდება. ნატო კვლავ გაფართოვდება, მაგრამ ეს არ იქნება ევროპის გაყოფის ან შესუსტების ხარჯზე. ამ მომენტში კი დგება ნატო-რუსეთის საკითხები. ევროპა უძლურია მოახდინოს რუსეთის იზოლაცია მისი სიდიდისგან გამომდინარე. ამ რეალობიდან გამომდინარე ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტს წარმოადგენდა ნატოს გაფართოება რუსეთთან თანამშრომლობის პარალელურად, სადაც რუსეთს მიენიჭებოდა განსაკუთრებული პარტნიორის ქვეყნის სახელი და ნატოს რუსეთთან იქნებოდა ეს სამხედრო,

სამეცნიერო თუ პოლიტიკური სფერო უნდა ჰქონოდა განსხვავებული მიდგომა. ასევე, რუსეთისთვის უნდა გაეზარდათ ეკონომიკური დახმარება.

1996 წელს ნატოს გენერალური მდივანის ჰავიერ სოლანას და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი პრიმარკოვს შორის შედგა საბოლოოდ შეთანხმება, საბოლოოდ კი ამ შეთანხმებას ხელი ერთი წლის შემდეგ პარიზში მოეწერა, რომლის თანახმადაც ნატოსა და რუსეთს შორის იქნებოდა ორმხრივი ურთიერთობის და თანამშრომლობის აქტი შედგენილი, რომელიც შემდეგ შეფასდა ახალი სტაბილური და ძლიერი პარტნიორობის დასაწყისი.

2002 წელს ნატომ და რუსეთმა ხელი რომის დეკლარაციას მოაწერეს, რომლის მიხედვითაც უკვე არსებული საბჭო შეიცვალა ნატო-რუსეთის საბჭოთი.

ნატო-რუსეთის საბჭოს მიზნებში კი შედის შემდეგი რამ:

- ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა
- მასობრივი იარაღის გავრცელების შეჩერება
- კრიზისების დაბალანსება და მართვა
- შეიარაღებების გაკონტროლება და ნდობის მოპოვება
- სამხედრო ურთიერთობების განმტკიცება
- რეფორმის გატარება თავდაცვაში
- საგანგებო და სამოქალაქო სიტუაციების დაგეგმარება
- სამეცნიერო ურთიერთობები და სხვა.

2004 წელს კი ნატომ და რუსეთმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს და ამით დაამტკიცეს სამოქალაქო გეგმა ტერორიზმის წინააღმდეგ. 2005 წლის გაზაფხულს ორივე მხარემ ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც ნატო და რუსეთი ერთობლივი ძალებით შეეცდებიან შეხვდნენ მომავალ გამოწვევებს. ნატო მიიჩნევს, რომ მისი და რუსეთის ურთიერთობების უფრო მეტად გაღრმავება და დაკავშირება იყო საჭირო,

რაც სამომავლოდ ევროპისათვისაც უკეთესი იქნებოდა. ამ კავშირის დამყარების შემდეგ ევროპა აღარასოდეს დაიყოფოდა ორ მოწინააღმდეგე ბანაკებად.

ნატო და რუსეთი ამ შეთანხმებით საკუთარ თავზე იღებდა ვალდებულებას, რომ ეს შეთანხმება დაფუძნებული იქნებოდა პატივისცემაზე და ნდობაზე, რომ რაიმე მოულოდნელ გადაწყვეტილებას არ მიიღებდა არცერთი სახელმწიფო რაც აგვისტოს ომის დროს დაარღვია. ეს ურთიერთობა და შეთანხმება გაძლიერდება თუ მას ექნება მკაცრი ვალდებულებები, როგორებიც არის: ეუთოს ქცევის კოდექსი, გაეროს წესდება.

რუსეთი შეშფოთებას ვერ მალავას ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებით, ნატო კი ამ სიტუაციის განეიტრალებას რუსეთთან ურთიერთობის გაღრმავებით ცდილობს. ეს გაფართოება არავის არ უქადდა საფრთხეს, პირიქით ევროპის სტაბილიზირებისთვის და უსაფრთხოებისთვის ხდებოდა, მაგრამ რუსეთს დიდად არ სჯეროდა ამ მოსაზრების.

ნატოს მთავარ პრობლემად მაინც მიჩნეულია არასტაბილური რუსეთი, რადგან ცივი ომის დასრულების შემდეგ წარმოიშვა უამრავი პრობლემა, მათ შორის, ეთნიკური დაპირისპირებები, ტერორიზმი, სტიქიური უბედურებები, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების საფრთხე და ა.შ. ნატოს ბანაკებში მიიჩნევდნენ იმას, რომ ნატოს გაფართოებას შესაძლოა რუსეთის გაღიზიანება გამოეწვია და შეექმნა ანტიდემოკრატიული-ანტიევროპული განწყობა, მაგრამ ნატოს მიაჩნდა, რომ რუსეთთან დათმობითი ურთიერთობების ნაცვლად ოპტიმალურ ვარიანტს წარმოადგენდა ნატოს ღია კარის პოლიტიკა, რადგანაც ნაროში გაწევრიანებული აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები, რომლებიც რუსეთის სიახლოვეს იმყოფებოდნენ შექმნიდნენ მშვიდ გარემოს, როგორც ნატოსთვის ასევე რუსეთისთვისაც. ასევე დასავლური ქვეყნების პოლიტიკოსები მიიჩნევდნენ, რომ ნატოს გაფართოების პოლიტიკის წამომწყები თვითონ რუსეთი უნდა ყოფილიყო, რადგანაც გაფართოების საკითხი რუსეთის ინტერესებში შედიოდა, მაგრამ საქმე პირიქით მიდიოდა რუსეთს დრო და დრო პანიკური შემოტევები და შიშები ჰქონდა

ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებით. ცივი ომის შემდეგ რუსეთის გავლენა საგრძნობლად იყო შემცირებული აღმოსავლეთ ქვეყნებში და დასავლური გავლენა უფრო და უფრო ძლიერდებოდა. რუსეთს კი არ გააჩნდა რესურსი ამ პროცესს რო შებრძოლებოდა.

2007 წელს რუსეთმა შეიმუშავა ხელშეკრულება, რომელიც შეიარაღების შემცირებას გულისხმობდა. ამ ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი იყო ფაქტები, ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოებს უნდა შეემცირებინათ შემდეგი შეიარაღებები ესენია: არტილერია, ჯავშანტექნიკა, ტანკები და ვერტმფრენები. ამ საქციელით რუსეთს შეეძლო თავის ტერიტორიაზე და მის გარეთაც გადაესროლა და ბაზებზე განეთავსებინა სამხედრო ტექნიკა და თან ამით საერთაშორისო ექსპერტებს არჩააბარებდა ანგარიშს.

რუსეთსა და ნატოს შორის დაპირისპირების რეალურ მაგალითს წარმოადგენს 2007 წელს გამართული მიუნხენის სამიტი, სადაც რუსეთის პრეზიდენტმა, პუტინმა ამერიკას ბრალი დასდო ერთპოლარულობაში. მისი თქმით, ეს ნიშნავს ძალაუფლების კონტროლს მხოლოდ ერთი მმართველისგან. ამერიკელი სენატორის, მაკკეინის თქმით კი ეს გახლდათ ყველაზე აგრესიული სიტყვით გამოსვლა ,რაც რუსეთს განუხორციელებია ცივი ომის დასრულების შემდეგ.

იმ პერიოდისთვის რუსეთის გაღიზიანების მიზეზები მრავლად იყო:

- ნატოს მიერ ერაყში სამხედრო დაჯგუფებების გაზრდა
- სამხედრო და საზღვაო ძალების არსებობა სპარსეთის ყურეში
- ერაყში ირანელი აგენტების წინააღმდეგ ბრძოლა
- მოლაპარაკებები იმის თაობაზე, რომ ჩეხეთსა და პოლონეთში განეთავსებინათ რაკეტაწინააღმდეგო სისტემები
- გადანაცვლება ყველაზე დიდი რადიოლოკაციური სისტემის პერლ-ჰარბორიდან კამჩატკის მიმართულებით
- ამერიკელი ჯარისკაცების რაოდენობის გაზრდა

პუტინის კიდევ ერთი განცხადებით ამერიკა გასცდა უკვე ჰუმანიტარულ ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ საზღვრებს, რასაც საერთოდ არ შეუმცირებია ლოკალური დაპირისპირებები და კონფლიქტები. დაღუპულთა რაოდენობა კი დროთაღწერად მატულობდა. ამერიკა ისე სწრაფად გადადის ერთი კონფლიქტიდან მეორეზე, რომ ვერც კი ახერხებს ვერცერთის მოგვარებას. ეს არის ერთი მმართველი ძალის თამაში, რომელსაც საერთოდ არ გააჩნია კავშირი დემოკრატიასთან რუსეთის პრეზიდენტის აზრით ასევე ამერიკის და ნატოს ქმედებები საერთოდ არაა დაკავშირებული ევროპაში მშვიდობის დამყარებასთან. მათ თავიანთი განსხვავებული პოზიციაც მოახსენეს ნატოს კოსოვოსთან დაკავშირებული კონფლიქტზე.

ეს განცხადებები ამერიკის პრეზიდენტისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა ბრალდებები კი რა თქმა უნდა უსაფუძვლო. მათი განცხადებით ცივი ომი საკმარისად სამყოფია ჭკუის სასწავლებლად, როგორც პენტაგონის ასევე ნატოს გენერალური მდივნის სხეფერის განცხადებით სულაც არ არის საგანგაშო ის ფაქტი, რომ ნატო რუსეთის საზღვრებს დემოკრატია და კანონის უზენაესობა უახლოვდება⁵.

ნატოსა და რუსეთს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს ენერგეტიკული ომი. ნატოს წევრი ევროპული სახელმწიფოები იმპორტიორ ქვეყნებს მოუწოდებდნენ, რომ ახალი ალტერნატიული გზები გამონახონ, ხოლო რუსეთი ამ სფეროში ლიდერობის შესანარჩუნებლად ოპეკის მსგავს ორგანიზაციას აყალიბებს. ამ ფაქტთან დაკავშირებით ნატომ წევრი სახელმწიფოებს საიდუმლო შეხვედრაზე უთხრა, სადაც იქმნებოდა ოპეკის მოწინააღმდეგე ორგანიზაცია, რომელშიც გაწევრიანებულები იქნებოდნენ: ირანი, ყატარი, ალჟირი და ლიბია. მათი განცხადებით ამ ახალი ორგანიზაციის შექმნის მიზეზი პოლიტიკურია. ამის მაგალითი კი გახლდათ ის შეწყვეტილი აირი, რაც რუსეთმა უკრაინისთვის და ევროპისთვის განახორციელა. ამერიკის სენატმა ნატოს გააქტიურებისკენ მოუწოდა, მისი თქმით გაზის შეწყვეტა პოლიტიკური ბერკეტად გამოყენება არანაკლებია

⁵ ჩიტაძე, ნ. გეოპოლიტიკა. თბილისი. 2011 წელი. გვ 52-63

სამხედრო ბლოკირებისა. მომავალში რესურსების სიმცირის გამო ევროპულ სახელმწიფოების მისით მანიპულირება უმთავრეს პრობლემად გადაიქცევა.

ენერგოსაფრთხოების გასამხედროება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა ნატო რუსეთის დაპირისპირებაში.

2008 წელს მიიუნხენის სამიტზე ნატოს გენერალურმა მდივანმა სხეფერმა განაცხადა, რომ ენერგოსაფრთხოება კოლექტიურ საფრთხეს წარმოადგენდა და საჭირო იყო კოლექტიურად ემოქმედათ და მოეხდინათ რეაგირება ამ საფრთხესთან დაკავშირებით. რიჩარდ ლუგარის განცხადებით ენერგორესურსებით მდიდარმა სახელმწიფოებმა არ უნდა მოახდინონ უცხოური ინვესტიციების კონფისკაცია, მაგრამ ისტორიიდან გამომდინარე მშვიდად ყოფნის საშუალება არ გვაქვს. ენერგოპოლიტიკა ამ დროისთვის სამი უმნიშვნელოვანესი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ენერგორესურსებით მანიპულირება ტერორისტულ ქმედებების ჩადენის რეალური საფრთხე და ინვესტიციების კლება.

მიუხედავად ყველა ამ განცხადებისა ნატოს პოზიცია მაინც გაურკვეველია, მას შეუძლია გამოიყენოს სუსტი ძალა რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ იგი თავს იკავებს ამ ქმედებისგან. ამასობაში კი რუსეთი განაგრძობს აღმოსავლეთი და დასავლეთ ევროპაში აგრესიულ მოქმედებებს და ნატოში მანიპულაციას. უილიამ ჰორსოს განცხადებით, რუსეთის მოქმედება საქართველოში შემთხვევითობა არ ყოფილა, ასეთი მოქმედებები შესაძლოა მომავალში ნორმად იქცეს. რუსეთმა ვეტო ვერ უნდა დაადოს ვერცერთ სახელმწიფოს, რომელსაც ნატოში გაწევრიანების სურვილი გაუჩნდება. რუსეთის აგრესია სია კი ასე გამოიყურება:

- საქართველოს ტერორისტების ოკუპირება და სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ნაწილობრივ დამოუკიდებლად ცნობა
- ბუნებრივი გაზით მანიპულირება და პოლიტიკური თამაშებისთვის გამოყენება
- იმ ქმედებაზე უარის თქმა, რასაც ამერიკელები დემოკრატია უწოდებენ.

ზოგიერთი ევროპული სახელმწიფოს ლიდერი უსაფრთხოების ახალი სისტემის დანერგვის რუსეთისეულ ვარიანტს მხარე დაუჭირა, მათ შორის გამორჩეული კი საფრანგეთი და მისი ლიდერი ნიკოლა სარკოზი იყო. სარკოზიმ მხარის დაჭერის გარდა კიდე გაამხნევა რუსები, როდესაც თქვა, რომ შესაძლოა ამერიკის მიერ თავდაცვითმა სარაკეტო სისტემამ ევროპის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ნაცვლად პირიქით დააზიანოს კიდევ. რუსეთის გზავნილი ნატოს მისამართით კი შემდეგნაირია: რუსეთი არ შეუქმნის საფრთხეს ნატოს, თუ ისინი საბოლოოდ ხელს აიღებენ საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. პოლონეთის თქმით კი ეს მიზანმიმართლი მცდელობაა იმისკენ, რომ დაშალონ ნატო. რუსეთი კი თავს მხნედ გრძნობს იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რომ ამ დროის მანძილზე ევროპამ ვერაფერი ვერ დაუპირისპირა მათ, როდესაც პუტინი მუქარით გამოვიდა, როდესაც გაზით დაიწყო მანიპულირება და ა.შ

ნატო-რუსეთის საბჭოს მიერ ჩატარებული მოლაპარაკებების შემდეგ დიმიტრი რაგოზინმა, რომელიც რუსეთის ელჩია ნატოში განაცხადა, რომ „ყინული გალღვა“. ნატო ხვდება იმ ფაქტს, რომ რუსეთის იზოლაციაში მოხვედრა არ მოიტანს კარგს. აპირებენ მოხდეს შერიგების პროცესი, რომელიც შეიძლება ავღანეთში გაიმართოს რუსეთი ნატოს ალტერნატიულ გზას სთავაზობს ავღანეთში შეიარაღების შესატანად⁶.

ამერიკამ მოსკოვში გააგზავნა დიპლომატი, რათა მოლაპარაკებები ეწარმოებინა ბირთვული იარაღის შემცირებასთან დაკავშირებით. რუსეთი ამ დროისთვის არ იმყოფებოდა სახარბიელო მდგომარეობაში ვინაიდან და რადგანაც მისი მოძველებული ქობილები უკვე ექსპლუატაციაში გადაეცემოდა. მანამ სანამ ახლით ჩაანაცვლებდნენ მათ, ამიტომ მითი იმისა, რომ ბირთვული აღჭურვილობა თანაბარ დონეზე იყო მცდარია.

⁶ მიდიგური, ნ. გზამკვლევი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ. თბილისი. 2017 წელი. გვ 39-44

2.3 ნატოს-საქართველოს ურთიერთობები და არსებული გამოწვევები

საქართველო და ნატოს შორის თანამშრომლობის ისტორია სათავეს იღებს 1992 წლიდან, როდესაც საქართველო ნატოს თანამშრომლობის საბჭოს წევრი გახდა, რომელსაც უკვე 1997 წლიდან ევროატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოთი მოიხსენიებენ. ამ სტრუქტურაში ნატოს წევრ და პარტნიორ სახელმწიფოებს შორის მიმდინარეობს მეტად მნიშვნელოვანი საკითხების განხილვები.

1994 წელს საქართველო შურთდა ნატოს პროგრამას პარტნიორობა მშვიდობისთვის.

2002 წელს პრადის სამიტზე საქართველომ პრიველად გამოთქვა სურვილი გამხდარიყო ნატოს სრულუფლებიანი წევრი, აქედნ იწყება საქართველოს ნატოში ინტეგრირების პროცესი. ამა წელს საბჭო დაეთანხმა საქართველოს ჩაბმულობას ევროატლანტიკურ კურსში, რომელიც 5 ძრითდი პუნქტისგან შედგებოდა:

- 1) სამხედრო და თავდაცვითი საკითხები
- 2) რესურსებთნ დაკავშირებული საკითხები
- 3) უსაფრთხოება
- 4) პოლიტიკური და ეკონომიკური
- 5) სამართლის კუთხით

2004 წელს საქართველო გახდა ის პრიველი პარტნიორი სახელმწიფო, რომელთანაც ნატომ ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა აამუშვა. საქართველოს კი ალიანსის წინაშ დაეკისრა ვალდებულებები.

